

2008 წლის 12 ოქტომბრიდან გორის
რაიონში დაბრუნებული მოსახლეობის - ე.წ.
დაბრუნებულ დევნილთა პრობლემები

11 სოცლის მიხედვით:

კარალეთი, ტყვიავი, კარბი, მერეთი,
გუბუტიანიპარი, გეღვრეპისი, ერბნეთი,
ქსუისი, დისევი, კოშკები, ტირძნისი

600მმმ, 2008 წ.

0ბილისი, საქართველო

2008 წლის 12 ოქტომბრიდან

გორის რაიონში

დაბრუნებული მოსახლეობის -

ე.წ. დაბრუნებულ დევნილთა

პრობლემები

11 სოფლის მიხედვით:

კარალეთი, ტყვიავი, კარბი, მერეთი, გუგუტიანთკარი,
მეღვრეკისი, ერგნეთი, ქსუისი, დისევი, კოშკები, ტირმნისი

ნოემბერი, 2008 წ.
თბილისი, საქართველო

კავკასიის ქალთა ქსელმა მოაწყო გასვლები გორის რაიონის სოფლებში ე.წ დაბრუნებულ დევნილთა მდგომარეობის მონიტორინგისა და მათი პრობლემების აღსარიცხავად. გასვლები მოეწყო ა.წ. 25 - 28 ოქტომბერსა და 30 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე და 8-12 ნოემბერს.

ეს დოკუმენტი მორიგი ეტაპია იმ საქმიანობისა, რასაც ორგანიზაცია ამ მიმართულებით ახორციელებს. ამას წინ უძლოდა დევნილ ქალთა საჭიროებების აღწერა და დევნილების სამართლებრივი საჭიროებების აღწერა.

ამ დოკუმენტის მთავარი მიზანია, ნათლად წარმოაჩინოს დაბრუნებულ დევნილთა დღევანდელი მდგომარეობა და გარკვეულწილად მოახდინოს შედარება ომამდელ და დევნილობის დროინდელ მდგომარეობასთან.

სოფლების შემოვლა ჩატარდა სამ ეტაპად: ა.წ. 25-დან 28 ოქტომბრის ჩათვლით და 30 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით, მოგვიანებით კი 8-12 ნოემბერში. სპეციალური კითხვარით გამოიკითხა მოსახლეობა და შეფასდა შემდეგი სოფლები: კარალეთი, ტყეიავი, კარბი, მერეთი, გუგუტიანთკარი, მელვრეკისი, ერგნეთი, ქსუისი, დისევი, კოშკები, ტირმინისი.

თერთმეტივე სოფელში კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით მოხდა მოსახლეობის გამოკითხვა სპეციალური ანკეტით და, ასევე, მცირე ჯგუფებში საუბრით, სახლებისა და საცხოვრებელი პირობების დათვალიერებით.

ქვემოთ მოცემულია მოსახლეობის პრობლემების აღწერა სოფლების მიხედვით.

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა :

რუსეთის აგრესიის შედეგად, 2008 წ. აგვისტოს ომის გამო დევნილების სხვა და სხვა დროებითი განთავსების ადგილებიდან უკან, მათ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნება დაიწყო ოქტომბრის თვეში. ოფიციალურად გამოცხადდა გორის რაიონის სოფლებში მოსახლეობის დაბრუნება.

2008 წლის აგვისტოში მოსახლეობის უმრავლესობა (დაახლოებით 7 აგვისტოდან) იძულებული იყო, დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს სხვა ქალაქებში. ომის დროს სოფლებიდან გამოქვეულთა უმრავლესობა განთავსებულ იქნა ქალაქ თბილისში, გორის, ბორჯომის, ქარელის, კასპის, ასპინძის, ხარაგაულის, კახეთის რეგიონის რაიონებში; ქალაქ რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ახალციხეში.

იძულებით გადადგილებულთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით მათ, ვინც თავიდან გაანაწილეს სკოლებში, ორჯერ შეიცვალა განთავსების ადგილი დევნილობის თითქმის ორ თვეში: კარალეთი-თბილისი-გორი-კარალეთი.

კარალეთი

კარალეთის¹ საკრებულოს ტერიტორიაზე აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს არ დაუტოვებია ძირითადად ხანშიშესულ და გადაადგილების შესაძლებლობის არმქონე პირებს. დარჩენენ მოხუცებული ქალები და მამაკაცები (მაგ: კარალეთში დაახლ. 200-300 ადამიანი).

კარალეთის მოსახლეობის სოფელში დაბრუნება დაიწყო ა.წ. 12 ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარებმა და ოსურმა შეიარაღებულმა ბანდ-ფორმირებებმა დატოვეს სოფლის ტერიტორია (კარალეთი ე.წ. ბუფერული ზონის პირველი სოფელი იყო). ამ პერიოდისათვის დეპნილთვან თითქმის ყველა დაბრუნდა სოფელში.

მოსახლეობის უმცირესი ნაწილი (გამოკითხულთა დაახლ. 2%) ამბობს, რომ სოფელში დაბრუნებისას შეძლო წაედო ის ნივთები რაც მას ჰუმანიტარული დახმარებით შეხვდათ: ძირითადად ადიალები, ძველი ალუმინის “ლეჟანკები”. დანარჩენები ამბობენ, რომ დაატოვებინეს ლეჟანკები და ადიალები დარჩენილი დაგნილებისთვის და ამდენად, ვერაფერი წაიდეს სახლებში.

2008 წ. აგვისტოს ომის შედეგად სოფელ კარალეთის მკვიდრი მშვიდობიანი მოსახლე - 5 ადამიანი დაიღუპა. აქედან: 4 მამაკაცი, 1 ქალი. დაღუპულთა საშუალო ასაკი – 65 წ.

ტყვიავი

საომარი მდგომარეობის დროს სოფელ ტყვიავში დარჩენილი იყვნენ მოხუცებული ქალები და მამაკაცები (დაახლოებით 80-90 ადამიანი). საომარი მოქმედებების შეშერებისას ტყვიაველები² შემოვლითი გზებითა და ბილიკებით, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ახერხებდნენ და გადადიოდნენ სოფელში გარდაცვლილი ახლობლებისა და ნათესავების დასასაფლავებლად. ოუმცა ისინი დამე სოფელში ერიდებოდნენ დარჩენას და სადამოსკენ უკან, დეპნილთა განსახლების ჰუნქებში ბრუნდებოდნენ.

მოსახლეობის სოფელში მასიური დაბრუნება დაიწყო 12 ოქტომბრიდან მას შემდეგ რაც რუსეთის ჯარებმა და ოსურმა ბანდ-ფორმირებებმა დატოვეს ე.წ. ბუფერული ზონის ტერიტორია, რომელშიც სოფ. ტყვიავი შედიოდა.

¹ სოფელი კარალეთი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორის ჩრდილოეთით, გორი-ცხინვალის საგზაო მაგისტრალზე. ცხინვალიდან დაახლ. **კმ** კარლეთის (თემის) საკრებულოს მოსახლეობას (სოფლები: კარალეთი, დიდი გარეჯვარი, პატარა გარეჯვარი) 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე წარმოადგენდა დაახლოებით 6500 ადამიანი. თავად სოფელ კარალეთში ომამდე იყო დაახლოებით 4100 მაცხოვრებელი.

² სოფელი ტყვიავი მდებარეობს გორის რაიონში, ქალაქ გორის ჩრდილოეთით, გორი-ცხინვალის საგზაო მაგისტრალზე. ცხინვალიდან დაახლ. **კმ** ტყვიავის (თემის) საკრებულოს მოსახლეობას (სოფლები: ტყვიავი, მარანა, ფლავი, ფლავისმანი) 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე წარმოადგენდა დაახლოებით 5700 ადამიანი. თავად სოფელი ტყვიავის მოსახლეობა წარმოადგენდა დაახლოებით 2600 მაცხოვრებელი.

იმ ნივთებიდან, რაც მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარებით შეხვდა დევნილობაში, მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო, წაედო ძირითადად ადიალები. დაბრუნებულ მოსახლეობას აბსოლუტურად გაძარცული და ნახევრად დამწვარი და დანგრეული დახვდა სოფელი. მოსახლეობის აზრით სოფლისა და იმ მეურნეობის აღდგენას, რასაც ისინი მისდევდნენ, ალბათ, წლები დასჭირდება.

2008 წ. აგვისტოს ომის შედეგად სოფელ ტყვიავის მკვიდრი მშვიდობიანი მოსახლე - 12 ადამიანი დაიღუპა. აქედან უკელა მამაკაცია. დაღუპულთა ასაკი იყოფა 2 ჯგუფად: შესაბამისად საშუალო ასაკია 35 წ. და 70 წ.

გუგუტიანთკარი

12 ოქტომბრის შემდეგ გუგუტიანთკარში³ დაბრუნებული მოსახლეობის ნაწილს აქვს განცდა, რომ ნახევრად დაბრუნდნენ, რადგან უსაფრთხოების მიზნით, მოსახლეობის ნაწილი არ რჩება დამით სახლებში და დამეს ათევს ისევ დევნილთა განთავსების პუნქტებში, ძირითადად გორში.

განსხვავებული მონაცემებით, აგვისტოს საომარი მდგომარეობის პერიოდში სოფლის სასაზღვრო ნაწილში დარჩა დაახლოებით 10-მდე მოხუცებული. მათმა ნაწილმა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მოხუცებულობის გამო, ვერ მოასწრო სოფლიდან გამოსვლა.

მოსახლეობა ცდილობს, ახალგაზრდობა და ბავშვები ჯერ არ დააბრუნონ სოფელში. მიზეზი მარტივია, სოფელი მდებარეობს ე.წ. სასაზღვრო ზონაში და უსაფრთხოება არ არის გარანტირებული და ასევე, სოფელი არ მარაგდება პროდუქტით და არც მოსახლეობას აქვს შეძენის შესაძლებლობა.

იმ ნივთებიდან, რაც მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარებით შეხვდა, მცირე ნაწილმა შეძლო დაბრუნებისას, რომ წაედო საწოლი (თბილისელების ნაჩუქარიო, ასე ამბობენ), ნაწილმა ლეიიბები და ადიალები.

2008 წ. აგვისტოს ომის შედეგად სოფელ გუგუტიანთკარის მშვიდობიანი მოსახლეობიდან დაღუპული არავინაა.

მერეთი

სოფელ მერეთში⁴ 12 ოქტომბრამდე მოსახლეობა ვერ ბედავდა შესვლას. 11 აგვისტოდან სოფელში რუსეთის ჯარის შესვლის შემდეგ, სოფელი თითქმის დატოვა მოსახლეობამ,

³ სოფელი გუგუტიანთკარი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორის ჩრდილო-დასავლეთით. ცხინვალიდან დაახლ. **კმ**.

სოფელი გუგუტიანთკარი შედის მერეთის (თემის) საკრებულოში. სოფელი გუგუტიანთკარის მოსახლეობას აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე წარმოადგენდა დაახლოებით 220 ადამიანი.

⁴ სოფელი მერეთი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორის ჩრდილო-დასავლეთით. ცხინვალიდან დაახლ. **კმ**.

მერეთის (თემის) საკრებულოს მოსახლეობას (სოფლები: მერეთი, კოშკი, გუგუტიანთკარი, ზარდიანთკარი, კარბი, ქერე) 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე წარმოადგენდა

გამოკითხულთაგან 3 მათგანი ტყვედ ჩავარდა სწორედ სოფლის დატოვებისას (12 აგვისტოს). სოფელში დარჩენენ მოხუცებული ქალები და მამაკაცები, დაახლოებით 50 კაცი.

იძულებით გადაადგილებულებიდან თითო თუ ბედავდა უკან მერეთში ფეხით გადასვლას, ზოგი კარბამდე გადადოოდა და იქ გებულობდა საკუთარი სახლის ამბავს. მოსახლეობის ამ ნაწილს პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ ატარებდნენ საგუშაგოებზე და აძლევდნენ უფლებას, მოენახულებინო სახლი, თუმცა მერეთელები ღამე არ რჩებოდნენ სახლებში და უკან ბრუნდებოდნენ დევნილთა განსახლების ცენტრებში.

იმ ნივთებიდან, რაც სოფლიდან დევნილ მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარებით შეხვდა, მცირე ნაწილმა შეძლო წაედო ძირითადად “ლექანკა”, ადიალა. ლეიიბები იმდენად ძველი იყო ვერ წაიღეს. ელემნტარული ნივთები დაუტოვეს იმ დევნილებს, ვინც ჯერ ვერ დაბრუნდა და დარჩა დევნილთა ცენტრებში.

სოფლის დიდი ნაწილი გადაურჩა გადაწვასა და ნგრევას. მცირედია ძარცვის ფაქტებიც. წალებულია მხოლოდ წვრილმანი და ნაკლბადმნიშვნელოვანი ნივთები. მოსახლეობის გადმოცემით, ამის გამომწვევი მიზეზია ის, რომ მათ სოფელში რუსული ჯარი აკონტროლებდა სიტუაციას. მერეთი, შეიძლება ითქვას, რომ ოსების მოროდიორობას გადაურჩა.

2008 წ. აგვისტოს ომის შედეგად სოფელ მერეთის მკვიდრი მშვიდობიანი მოსახლე - 2 დამიანი დაიღუპა. 1 ქალი და 1 მამაკაცი (58წ).

კარბი

სოფელ კარბში⁵ დევნილი მოსახლეობის დაბრუნება ასევე დაიწყო 12 ოქტომბრის შემდეგ. მოსახლეობის გადმოცემით, თითქმის ყველა დაუბრუნდა სოფელს. დევნილობიდან მათ შეძლეს, წაედოთ ადიალები, ლექანკები, მიცემული ტანსაცმლის ნაწილი.

9 აგვისტოდან (როდესაც მოხდა კარბის დაბომბვა) დაიწყო ხალხის მასიური გასვლა სოფლიდან. სოფელში დარჩა დაახლოებით 10 ადამიანამდე. გარდაცვალებულთა დიდი ნაწილის სათანადო წესით დაკრძალვა ახლობლებმა ვერ მოახერხეს დაბომბვებისა და რუსული და ოსური შეიარაღებული პირების თავდასხმების გამო. ერთ-ერთმა გამოკითხულმა მოახერხა და დაღუპული მამა კასპში გადაასვენა. უმრავლესობამ გარკვეული პერიოდის შემდეგ (დაბრუნებისას) შეძლო ახლობლების დაკრძალვა სოფლის სასაფლაოზე. სოფლიდან გამოქვეულ ხალხს გზადაგზა ხვდებოდა ქართული ჯარის უკანდახეული ნაწილები.

დაახლოებით 3500 ადამიანი. თავად სოფელი მერეთის მოსახლეობა ომამდე იყო დაახლოებით 1200 ადამიანი.

⁵ სოფელი კარბი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორის ჩრდილო-დასავლეთით. ცხინვალიდან დაახლ. კმ
სოფელი კარბი შედის მერეთის (თემის) საკრებულოში, რომლის მოსახლეობა აგვისტოს ომამდე იყო დაახლოებით 3500 ადამიანი. თავად სოფელ კარბის მოსახლეობა ომამდე იყო დაახლოებით 750 ადამიანი.

კარბში დაბრუნებულ მოსახლეობას მძიმე სურათი დახვდა სოფელში. პირველ რიგში, ინფორმაცია დააზუსტეს დაბომბვისგან გარდაცვლილი თანასოფლელებზე. კარბელებმა კი იცოდნენ, რომ დაბომბვის შედეგად მსხვერპლი დიდი იყო, მაგრამ კონკრეტული სახელებისა და გვარების შესახებ ბეგრს ინფორმაცია არ ჰქონდა. ზოგმა უშუალოდ დაბრუნების შემდეგ გაიგო თავისი ახლობელისა თუ მეზობლის გარდაცვალების ამბავი. ასევე, საჭირო გახდა ზოგიერთი გარდაცვლილის გადასვენება სახლის ეზოდან სასაფლაოზე ან სხვა ადგილიდან გადმოსვენება სოფელში.

სოფელი დანგრეული და განადგურებული ნახეს.

2008 წ. რუსული აგრესიის შედეგად სოფელ კარბში დაღუპულია 10 ადამიანი. მათგან 5 ქალი და 5 მამაკაცი. დაღუპულთა ასაკი 50 დან 75 წლამდე მერყეობს.

მედვრეკისი

სოფელი მედვრეკისის⁶ მოსახლეობა თითქმის მთლიანად დაბრუნდა 12 ოქტომბრის შემდეგ. მოსახლეობა ცდილობს, აიღოს ის მოსავალი რაც ომს გადაურჩა (ვაშლი, ყურძენი).

მოსახლეობამ სოფელი დაცალა 10-11 აგვისტოდან ქართული ჯარის უკან დახევის დროს. სოფელში დარჩნენ ძირითადად მოხუცებულები და ზოგიერთი ისეთი ადამიანი, ვისი მშობელიც ძალიან მძიმედ იყო და ვერ მიატოვა. დარჩენილთა ზუსტი რიცხვი მოსახლეობამ არ იცის.

იმ ნივთებიდან, რაც მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარებით შეხვდათ, მოსახლეობამ თან წაიღო კარვებიდან ლექანები, ძველი საწოლები და ლეიბები, ასევე მოსახლეობიდან შემოწირული მცირედი ტანსაცმელი.

დაბრუნებულ მოსახლეობას აგვისტოს დაბომბვების შედეგად ნაწილობრივ დანგრეული სახლები და დაბომბილი ბაღები დახვდა, სახლების გარკვეული ნაწილი გაძარცვულია მოროდიორების მიერ, სახლებში არის გაბზარული და დახეთქილი კედლები.

2008 წ. აგვისტოში რუსული აგრესიის შედეგად სოფელ მედვრეკისში დაღუპულია 3 ადამიანი. ყველა მამაკაცი.

ერგნეთი

ერგნეთში⁷ დევნილი მოსახლეობის დაბრუნება დაიწყო 12 ოქტომბრის შემდეგ. თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებს დაბრუნებას. მაგ: წერეთლიაანთ უბანში,

⁶ სოფელი მედვრეკისი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორის ჩრდილო-დასავლეთით. ცხინვალიდან დაახლ. კმ/.

სოფელი მედვრეკისი შედის ტირმინისის თემის საკრებულოში, რომლის მოსახლეობა აგვისტოს ომამდე იყო დაახლოებით 4500 ადამიანი. თავად მედვრეკისის მოსახლეობა ომამდე იყო დაახლოებით 800 ადამიანი.

⁷ სოფელი ერგნეთი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორის ჩრდილოეთით. ცხინვალიდან დაახლ. კმ/.

როემლიც მეტნაკლებად გადაურჩა დანგრევას, და სადაც ომამდე 38 ოჯახი ცხოვრობდა, დღეისათვის დაბრუნდა 12 ოჯახი, ისინიც უსაფრთხოების მიზნით, დამეს არ ათვევნ სოფელში. სულ 10-12 კაცი თუ მოითვლება, ვინც დამეც რჩება სოფელში.

სოფელში სულ ოთხი უბანია. აქედან ორი უბანი მთლიანად დანგრეულია, გადარჩენილია ნაწილობრივ კასრაანთ უბანი და წერეთლიაანთ უბანი. დაბრუნებული მოსახლეობა ჯერ კიდევ ხედავს ომის განახლების საფრთხეს, სოფელი ფაქტიურად გაყოფილია ორად და სოფლის იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ცხინვალს, სახლებიც მთლიანად დანგრეულია და ქართული მოსახლეობაც იქით ფაქტიურად ვერ გადადის.

იმ ნივთებიდან, რაც მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარებით შეხვდა, მოსახლეობამ თან წაიღო კარვებიდან ლეუანკები და ლეიბები, ასევე მოსახლეობიდან შემოწირული მცირედი ტანსაცმელი. ამის პარალელურად სოფელში დაგდგმულია კარვები ადგილობრივი მოსახლეობის იქ დასარჩხნად, იმის გამო, რომ მათი უმრავლესობის სახლები დამწვარი და განადგურებულია. გარეთ კი უკვე გვიანი შემოდგომაა, განსაკუთრებით დამით ცივა და კარვებში გაჩერება ფაქტიურად შეუძლებელია.

2008 წ. რუსული აგრესის შედეგად სოფელ ერგნეთში დაღუპულია 4 მამაკაცი (78-85 წწ.).

ქსუისი

სოფელ ქსუისის⁸ გამოკითხული მოსახლეობა გორის საბავშვო ბაღის შენობაში არიან, დანარჩენებს ერთმანეთთან კონტაქტი არა აქვთ.

ამჟამად ქსუისი ითვლება დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილად და ქართული მოსახლეობის დაბრუნება ამ სოფელში არ დაწყებულა. სოფელები შედიან მხოლოდ მოხუცებულები (მათ დაუბრკოლებლად ატარებენ), ისიც მხოლოდ დღის განმავლობაში. იქ ამჟამად ცხოვრობენ მხოლოდ ოსი ეროვნების ადამიანები, და მათ რუსი სახედროები ურიგებენ ჰუმანიტარულ დახმარებას. სახლებიდან სრულიად უვნებელი გადარჩა მხოლოდ 20 სახლი.

რუსეთის აგრესის შედეგად სოფლიდან გამოსვლა ქალებმა და ბავშვებმა დაიწყეს 8-9 აგვისტოს. ტრანსპორტირების პრობლემის გამო მოსახლეობა არასტაბილურად ტოვებდა სოფელს, რადგან ხელისუფლების მხრიდან არ იყო დახმარება. სოფელი დატოვა თითქმის ყველა ქართველმა მცხოვრებმა. სოფლის მოსახლეობას არა აქვს ინფორმაცია, დარჩა თუ არა სოფელში საომარი მოქმედებების დროს ვინმე მაცხოვრებელი.

სოფელი ერგნეთი შედის ტირმისის თემის საკრებულოში. თავად სოფელი ერგნეთის მოსახლეობას აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომამდე წარმოადგენდა დაახლოებით 600 ადამიანი..

⁸ სოფელი სოფელი ქსუისი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორის ჩრდილოეთით. ცხინვალიდან დაახლ. ქმ/ სოფლის მოსახლეობას 2008 წ. აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომამდე წარმოადგენდა დაახლოებით 150 ოჯახი.

დისევი

სოფელი დისევი⁹ ამჟამად იმყოფება რუსული ჯარების სრული კონტროლის ქვეშ და იქ ქართული მოსახლეობის დაბრუნება არ მომხდარა. მოსახლეობის მცირე ნაწილი (რამოდენიმე კაცი) მიღის გუგუტიანთკარის საზღვრამდე, იარება სოფელში, რომ დახედოს თავის სახლებს და უგანვე ბრუნდება. სოფლის მაცხოვრებლებმა ომის შემდეგ ერთმანეთთან დაკარგეს კავშირი, რადგან განთავსებულები არიან დევნილთა განსახლების სხვადასხვა ცენტრში.

2008 წ. რუსული აგრესის შედეგად დისევში -- ჩვენი მონაცემებით გარდაცვლილია ორი ადამიანი (1 ქალი და 1 მამაკაცი), თუმცა, მათი ოჯახის წევრები, ამჟამად სოფელში არ არიან და მიიღეს თუ არა ფულადი დახმარება 10,000 ლარის ოდენობით, ცნობილი არ არის.

კოშკები

თბილისიდან დევნილი მოსახლეობის დაბრუნება სოფელ კოშკებში¹⁰ დაიწყო 12 ოქტომბრის შემდეგ ისიც, მხოლოდ დღის სინათლის განმავლობაში, გარდა იმათი, ვინც რაიმე მიზეზით ჩარჩა სოფელში. მოსახლეობას სურს გადარჩენილი მოსაგალი აიდოს, თუმცა ბაღების ტერიტორიები არ განადმულა და მოსახლეობა მუდმივად საშიშროების ქვეშ იმყოფება.

რუსეთის აგრესის შედეგად მოსახლეობის უმრავლესობა 8-9 აგვისტოდან გამოიქცა კოშკებიდან. ამ პერიოდისათვის სოფლის მოსახლეობა მოწყვეტილი იყო ერთმანეთს კავშირს და ერთმანეთის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ, არ ახსოვთ რამდენმა დატოვა სოფელი. განსხვავებული მონაცემებით სოფლის ნაწილში დარჩა დაახლოებით 7-8 მოხუცებული. მათმა ნაწილმა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მოხუცებულობის გამო ვერ მოასწრო სოფლიდან გამოსვლა.

ტირმნისი

ტირმნისში¹¹ მოსახლეობა დაბრუნდა 12 ოქტომბრის შემდეგ, სოფლი თითქმის ყველა მაცხოვრებელი დაუბრუნდა სოფელს, მაგრამ მათი უმრავლესობა საღამოს ტოვებს სოფელს უსაფრთხოების გამო.

⁹ სოფელი დისევი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორის ჩრდილოეთით. მისი მოსაზღვრე სოფელია გუგუტიანთკარი. ცხინვალიდან დაახლ. **კმ/** სოფელ დისევის მოსახლეობას 2008 წ. აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომამდე წარმოადგენდა დაახლოებით **—** ადამიანი.

¹⁰ სოფელი კოშკი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორის ჩრდილო-დასავლეთით. ცხინვალიდან დაახლ. **კმ/**. სოფელი კოშკი შედის მერეთის (თემის საკრებულოში, რომლის მოსახლეობას აგვისტოს ომამდე წარმოადგენდა დაახლოებით 3500 ადამიანი; ხოლო თავად კოშკის მოსახლეობა ომამდე იყო დაახლოებით 300 ადამიანი.

¹¹ სოფელი ტირმნისი მდებარეობს გორის რაიონში ქალაქ გორი-ერგნეთის გზაზე. ცხინვალიდან დაახლ. **კმ/**. ტირმნისის (თემის) საკრებულოს მოსახლეობა აგვისტოს ომამდე შეადგენდა დაახლოებით

სოფელ ტირმისიდან მოსახლეობამ გამოქცევა დაიწყო ქართული ჯარის უკანდახევისთანავე - 8-9 აგვისტოს. სოფელში დარჩნენ მხოლოდ მოხუცები და გადაღვილების უნარს მოკლებულები (ძირითადად ქალები).

2008 წ. რუსული აგრესის შედეგად, ტირმისის მოსახლეობიდან საომარი მდგომარეობის შედეგად გარგაიცვალა 3 ადამიანი – 2 მამაკაცი და 1 ქალი. საშუალო ასაკი 56-65 წელი.

ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ს ა ფ რ თ ხ ო ე ბ ა :	უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს	დ ა ც ვ ა ;
--	-------------------	-------------

კარალეთი

სოფელში დაბრუნების შემდეგ მოსახლეობის უმეტესობას მიაჩნია, რომ მათი უფლებები უკანდახები ირლევა, რადგან უკურადღებოდაა დარჩენილი სახელმწიფოს და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. დაბრუნებულ მოსახლეობაზე ზრუნვა კი მათი მოვალეობაა.

დაბრუნებულთა უმრავლესობა გამოკითხულთა შორის კარალეთში უჩივის დაუცველობას და არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

მოსახლეობას დღეს ყველაზე მეტად ეშინია ომის განახლების. საგარაუდო აგრესორებიდან მოსახლეობა ყველაზე დიდ საფრთხეს ელის რუსული ჯარის, ოსი ბანდ-ფორმირებებისა და ჩეხნებისაგან.

არსებული საფრთხეებიდან, აგრეთვე, დაასახელეს მოროდიორები (როგორც ოსი ეროვნების, ისე ადგილობრივი, ქართველი მოროდიორები).

კარალეთში, საბედნიეროდ, არ აღმოჩნდა ნაღმები და აუფეთქებელი საბრძოლო ნარჩენები.

ტყვიავი

სოფელ ტყვიავში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ მათი ფუნდამენტური უფლებები ყველანაირად იღახება, სისტემატურად არიან ომის განახლებისა და დაუცველობის განცდაში, მათი საკუთრების ხელშეუხებლობის უფლება ხელყოფილია და ვერც ვერავინ აძლევს მათ საკუთრების დაბრუნებისა თუ ადღგენის გარანტიას. მოსახლეობა მძიმედ განიცდის მათ სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას, ის უკიდურესად რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფება.

4400 ადამიანი. თავად ტირმისის მოსახლეობას კი აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომამდე წარმოადგენდა დაახლოებით 2000-მდე ადამიანი.

სოფელ ტყიავში დაბრუნებული მოსახლეობის უმრავლესობას ეშინია ომის განახლების. მოსახლეობა თავს თვლის დაუცველად შესაძლო რუსული და ოსური აგრესიის, განსაკუთრებით კი ოსური ბანდ-ფორმირებების სისახტიკის წინაშე. მოსახლეობას არა აქვს ინფორმაცია სოფელი ბოლომდე გაინაღმა თუ არა. ერთ-ერთი გამოკითხულის გადმოცემით, მის ეზოში გამნაღმველებმა 5 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს აუფეთქებელი ჭურვი და აღარ ამოიღეს, მოგვიანებით კი განაცხადეს, რომ ამ სიღრემეზე არსებული საბრძოლო მასალა საშიშროებას არ წარმოადგენს.

გუგუტიანთკარი

სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ მათი ფუნდამენტური უფლებები ყველანაირად ილახება. ამბობენ, რომ დარღვეულია მათი სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლება, ქონებრივი უფლებები.

გუგუტიანთკარში მოსახლეობა დაბრუნდა უმძიმეს პირობებში, გაძარცულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სახლები. მთელი დამის განმავლობაში სოფელში ისმის სროლის ხმა. მოსახლეობა დაშინებულია და გარეთ ვერ გამოდის.

დაბრუნებული მოსახლეობის უმრავლესობას ეშინია ომის განახლების, ეკონომიკური გაჭირვების. ერთ-ერთი ბოლო საცხოვრებელი სახლიდან 50 მეტრის დაშორებით დგას საგუშაგო. არ იციან ოსების არის თუ რუსების, შორიდან არ ჩანს. მოსახლეობის გადმოცემით, ის მხარე ითხოვს 300 მეტრის პერიმეტრის სასახლვრო ზოლის შემომარტებას. მოსახლეობას აქვს ეჭვი, რომ მეორე მხარეს სურს მათი სოფლის მიკუთვნება და შეშფოთებულები არიან თავიანთი გაურკვეველი ბედის გამო.

სოფლის ერთ ეზოში თვითონ მეზობელმა აღმოაჩინა აუფეთქებელი ჭურვი და მიმართა გამნაღმველებს, რომ რეაგირება მოეხდინათ. ეს ჭურვი ბაღიდან გაიტანეს და წაიღეს. სოფლის სხვა ადგილას ნაღმები არ შეუნიშნავთ მაგრამ მოსახლეობას ადარდებს სოფ. კოშკებიდან ბაღების ტერიტორიის განაღმვის პრობლემა. იქ ჯერ-ჯერობით განაღმვითი სამუშაოები ჯერ არ ჩატარებულა. ისინი ხელისუფლების ოფიციალური პირების მხრიდანაც არიან გაფრთხილებულები, რომ ამ ადგილს მოერიდონ.

მერეთი

მერეთელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი უფლებები დარღვეულია. მოსახლეობა იმდენად უიმედოდა, რომ არ იცის ვის მიმართოს დასახმარებლად და თვლის, რომ დღეისათვის არ არის რომელიმე უწყება, რომელსაც მათი ბედი აწუხებს.

დაბრუნებული მოსახლეობის უმრავლესობას ეშინია ომის განახლების, სოფელში ყოველ დამე ისმის სროლის ხმა, ძალიან ეშინიათ ოსი ბოევიკების და მათი ბანდ-ფორმირებების. პოლიცია კი დადის გზაზე, მაგრამ ხალხი თავს მაინც ძალიან დაუცველად გრძნობს და არა აქვს მათი იმედი. ბადებში გამნაღმველები ჯერ არ მისულან, მოსახლეობამ არც იცის ისინი დანაღმულია თუ არა. განსაკუთრებით საშიშია სოფ. კოშკების მხარეს განლაგებული ხეხილის ბაღები. მოსახლეობას ეშინია მოსალოდნელი ზამთრის არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

კარბი

გამოკითხული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ მათი უფლებები კვლავ ყოველ ნაბიჯზე ირდვევა.

სოფლის მოსახლეობას ჯერ კიდევ აქვს **შიში** რუსი და ოსი შეარაღებული პირების მხრიდან მოსალოდნების. მთელი დამის განავლობაში სოფელში ისმის სროლის ხმა. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს დროინდელი დაბომბვების ეპიცენტრი გაინალმა, ზოგიერთ ეზოსა და ბაღებში ჯერ კიდევ შეინიშნება ჭურვების ნაწილები და ასევე აუფეთქებელი ჭურვები. ამ ადგილებზე განაღმვითი სამუშაოები ისევ მიმდინარეობს.

მელვრეკისი

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ მათი უფლებები ყოველ ნაბიჯზე ირდვევა.

დაბრუნებული მოსახლეობის **ეშინია** ოსი ბოევიკების. განაღმვითი სამუშაოები სოფელში ჩატარდა, მაგრამ მოსახლეობას ეჭვი აქვს, რომ ნაღმები კიდევ შეიძლება იყოს სადმე. მოსახლეობას უსაფრთხოების მიზნით სურვილი აქვთ გამნაღმველებმა უფრო საფუძვლიანად შეამოქმონ სოფელი.

ერგნეთი

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ მათი უფლებები ყოველ ნაბიჯზე ირდვევა.

სოფელ ერგნეთში თანდათანობით მიდის **განაღმვის** პროცესი. მოსახლეობის ნაწილის ვენახებში ჯერ კიდევ დარჩენილია ნაღმები. სოფლის იმ ნაწილში, სადაც მოსახლეობა ვერ ბრუნდება, ნაღმების შესახებ ინფორმაცია საერთოდ არა აქვთ.

ქსუისი

ქსუისში ქართული მოსახლეობას საცხოვრებელი სახლების დიდი რაოდენობა დამწვარი და გაძარცვულია. მოსახლეობა **დაბნეულია**, არ იცის დაბრუნდეს თავის კუთვნილ სახლში ოდონდ ოსური და რუსული იურისდიქციის ქვეშ, თუ არა. მოსახლეობას არა აქვს ინფორმაცია სოფლიდან გარდაცვლილების შესახებ.

დისევი

კოშკები

მოსახლეობა თვლის, რომ მათი ყველანაირი უფლებები დარღვეულია, როგორც საქართველოს ასევე რუსეთის მხრიდან.

კოშკებში დაბრუნებული მოსახლეობის უმრავლესობას ეშინია ომის განახლების, დაუცველი მდგომარეობის. სოფელში სახლების უმეტესობა გაძარცვულია. კოშკების მოსახლეობამ აღნიშნა, რომ მოსაზღვრე სოფ. ქერეში შეიმჩნევა რუსული სამხედრო ტექნიკის გადაადგილება. ქერეს მხრიდან რეგულარულად ისმის სროლების ხმა. მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და უჭირთ სოფელში დარჩენა.

ტირმნისი

ტირმნისში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ მათი უფლებები ყოველ ნაბიჯზე ირღვევა.

სოფელ ტირმნისში დაბრუნებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების ნაწილი დამწვარია. უმეტესი ნაწილი სახლების გაძარცვულია, როგორც გამოკითხულები ამბობენ, ოსი მოროდიორების მიერ. სოფელში მიმდინარეობს განაღმვა.

კონტროლი / მართველობა :

კარალეთი

სოფელ კარალეთში მირითადად ფუნქციონირებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, მაგრამ საკრებულოს წარმომადგენლებსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ხედავენ თვეში ერთხელ, ისიც უცხოელი საეთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების განაწილების დროს.

მოსახლეობის მცირე ნაწილი (კერძოდ, კარალეთის საერთო ბინის მაცხოვრებლები) თვლის რომ გამგეობა მუშაობს, რადგან დაკავებულია მათი დამწვარი სახლის კარფანჯრების გამოცვლით და პირდებიან ოთახების გარემონტებასაც.

სოფელში დადის საპატრულო პოლიციის მანქანები, იქ სისტემატურად შეინიშნება პოლიციის მანქანების გადაადგილება.

ტყვიავი

სოფელ ტყვიავში ფუნქციონირებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. ყველა თანამდებობის პირი დაბრუნდა თავის სამუშაო ადგილზე, მაგრამ მოსახლეობა საერთოდ ვერ გრძნობს მათ აქტიურ ქმედებებს არსებული გაუსაძლისი პირობების შესამსუბუქებლად. ადგილობრივი თანამდებობის პირები ფიგურირებენ მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოტანილი ჰუმანიტარული დახმარების განაწილებისას და ბინებში დამსხვრეული მინების ჩასმაზე ზედამხედველობის დროს.

სოფლის ცენტრალურ გზაზე რეგულარულად დადის ქართული საპატრულო პოლიციის მანქანები.

გუგუტიანთკარი

სოფელ გუგუტიანთკარის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები განლაგებულია სოფელ მერეთში (მერეთის გამგეობა). მოსახლეობა საერთოდ ვერ გრძნობს მათ მუშაობას. მოსახლეობამდე მათ არანაირი დახმარება არ მიაქვთ. სოფელში დაბრუნების შემდგ დარიგდა მხოლოდ მაკარონი, სულზე ერთი შეკვრა (10 დღის ულუფა).

ქართული საპატრულო პოლიციის საგუშაგო არის სოფლის საზღვართან. მათი სოფლიდან კი დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით დგანან უკვე რუსები და ოსები საგუშაგოზე, სადაც თავმოყრილია სამხედრო ტექნიკა (ე.წ ბმპ და ბტპ).

მერეთი

სოფელში ფუნქციონირებს მერეთის გამგეობა, თუმცა მოსახლეობა არ არის კმაყოფილი მათი მუშაობით. ისინი თვლიან, რომ ადგილობრივი მმართველობა არ ზრუნავს მათი მდგომარეობის გამოსწორებაზე. სოფლის მაცხოვრებლები უჩივიან, რომ პუმანიტარული დახმარებით დარიგებული საკვები ხშირად უხარისხოა (მაგ უხრისხო ფქვილი).

სოფელში რეგულარულად დადის ქართული საპატრულო პოლიციის მანქანები, თუმცა მოსახლეობა მათ მიმართ უნდობლობითაა განწყობილი და არ თვლის მათ დაცვის გარანტიად.

კარბი

კარბის ადგილობრივი ხელისუფლება სოფელ მერეთში ფუნქციონირებს, სოფელს კარბს ჰყავს რწმუნებული, რომელიც შეძლებისდაგვარად (თუ ცენტრალური ხელისუფლებიდან რაიმე გაანაწილეს - გამოკითხულის აზრი) ცდილობს, მოსახლეობის დახმარებას.

თავდაპირველად დაბრუნების შემდეგ სოფელს ძალიან მცირედი დახმარება მიეწოდებოდა, რამაც სოფლის უდიდესი პროტესტი გამოიწვია. ამის გამო მოსახლეობამ მოიწვია ადგილობრივი (რეგიონის) ტელევიზია და სოფელში არსებული პრობლემები გადაიცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ამას რამდენიმე დღეში მალევე მოყვა პუმანიტარული დახმარების დარიგება. მოსახლეობა ამას მათი მხრიდან გამოხტელი პროტესტის შედეგად მიიჩნევს.

სოფლის ცენტრალურ გზაზე რეგულარულად დადის ქართული საპატრულო პოლიციის მანქანები.

მელვრეკისი

მედვრეკისში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ფუნქციონირებს. ყველა თანამდებობის პირი დაბრუნდა თავის სამუშაო ადგილზე, მათი წარმომადგენლები ერთხელ იყვნენ მისულები მოსახლეობასთან და მოახდინეს დამწვარი და დანგრეული სახლების აზომვა და აღრიცხვა, თუმცა შემდგომ არც არანაირი პასუხი და არც რაიმე რეაგირება სახლების აღდგენის თაობაზე ამ ფაქტს არ მოჰყოლია.

მოსახლეობას შესთავაზეს კომპენსაცია მხოლოდ 15 000 ლოდის თდენობით ყოველი დანგრეული სახლის აღდგენის სანაცვლოდ. ხალხი ამბობს, რომ ეს თანხა საკმარისი არაა, აბსოლუტურად არ ყოფნის სახლის დღგენას, თუმცა მოსახლეობის ნაწილმა დახმარება აიღო.

სოციალურად დაუცველ პირებსაც გადაეცათ მათი კუთვნილი დახმარებები. თუმცა, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მათ ეს კომპენსცია აღარ ყოფნით და ითხოვენ დახმარების გაზრდას.

სოფლის ცენტრალურ გზაზე რეგულარულად დადის ქართული საპატრულო პოლიციის მანქანები.

ერგნეთი

ერგნეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოფელში არ არინ. მათი განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაცია გამოკითხულ მოსახლეობას არა აქვს. მათი გადმოცემით, სოფლის რწმუნებული ერთხელ იყო ასელი სოფელში, მან დათვალიერა დანგრეული და დამწვარი სახლები და წავიდა. პუმანიტარული დახმარება სოფელში არ მიუტანით.

მოსახლეობის გადმოცემით, სოფელში ერთი პოლიციის საგუშაგო პოსტია სოფლის იმ მხარეს, რომელიც ცხინვალს ესაზღვრება. აქედან დაახლოებით 50-60 მეტრში დგას რუსების საგუშაგო. მოსახლეობა შორიდან ვერ არჩევს საგუშაგოზე ოსები დგანან, თუ რუსები. ყველას ერთნაირი ფორმა აცვია. ერგნეთში დადის ორი ქართული საპატრულო პოლიციის მანქანაც. თუმცა მოსახლეობა დაცულად არ თვლის თავს და დამეც იმიტომ არ რჩება სოფელში.

ქსუისი

ქსუისში ადგილობრივ ხელისუფლების ახორციელებს სამხედრო პირები. (სამოქალაქო მმართველობა შეჩერებულია). მოსახლეობის გადმოცემით, ქსუისში ადრე დათარეშობებულებენ რუსი ბანდფორმირებები, თუმცა ისინი რუსებმა უკვე განაიარადეს ცეცხლსასროლი იარაღისაგან და დაუტოვეს მხოლოდ სამხედრო დანები. დღეისთვის მხოლოდ რუსი სამხედროები დგანან პოსტებზე. რუსების სამხედრო ბანაკი დღეისათვის სოფლის სტადიონზეა, სადაც მოსახლეობას აღარ უშვებენ. თუმცა ქურდობის ცალკეული ფაქტები მაინც არის ოსი ეროვნების პირების მიერ.

დისევი

დისევის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოფელში არ არის. სოფელი არის მთლიანად რუსების სამხედრო მმართველობის ქვეშ. გუგუტიანთვარიდან 50 მეტრის მოშორებით არის რუსი შეარაღებული ჯარის ბლოკ პოსტი და მუდმივად დგას იქ რუსული ტექნიკა. რა თქმა უნდა სოფელში ქართული პოლიცია არ არის.

კოშკები

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები განლაგებულია სოფელ მერეთში (მერეთის გამგეობა), სამწუხაროდ ვერანაირ დახმარებას ვერ უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას. კოშკების გარკვეულ ტრიტორიაზე მოძრაობს ქართული პოლიცია. ისინი უბრალოდ იცავენ მოსახლეობას სოფლის შიგნით რომ ადგილზე არ მოხდეს ჩხუბი და რიმე სხვა ინციდენტი.

ტირმნისი

ტირმნისის მაცხოვრებლების გადმოცემით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხედავენ მხოლოდ პუმანიტარული დახმარების დანაწილების დროს (ერთხელ ამოვიდა).

ქართული საპატრულო პოლიცია დადის სოფელში და აკონტროლებს ტერიტორიას.

კ ვ ე ბ ა :

კარალეთი

მოსახლეობის უმრავლესობა ხედავს ეკონომიკური და სოციალური სიღუხჭირის საფრთხეს. სოფელში მუშაობს მხოლოდ 3 - 4 სასურსაოო მაღაზია. ომამდე ამ ტერიტორიაზე მოქმედებდა დაახლოებით 15 მაღაზია. ახლა მაღაზიები მარაგდება ძირითადად გორიდან და ძალიან მცირე ნაწილი - თბილისიდან.

დღევანდელი დღის ჩათვლით არის საკვების დიდი დეფიციტი. პუმანიტარული დახმარებიდან სოფელში თვეში ერთხელ სულზე შედის: ფქვილი 6კგ. მარილი 20 გრ, ზეთი 250გრ, ბრინჯი, შაქარი 1 ჭიქა (200გრ). ამას პქვია პუმანიტარული დახმარების 20-დღიანი პროგრამა.

ტყვიავი

გადატანილი ომის საშინელებისა და მოსალოდნელი ხელახლი აგრესის, ასევე არსებული უმბიმესი სოციალური მდგომარეობის გამო მოსახლეობა უკიდურესად დაძაბულია სოფელ ტყვიავშიც.

სოფელში ომამდე 20 სხვადასხვა პროფილის მაღაზია ფუნქციონირებდა. მათგან ყველაზე დიდი მაღაზია მთლიანად გაძარცვულია. ამჯამად, სოფელში სულ 2-დან 4-

მდე სასურსათო მაღაზია მუშაობს, ისიც მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების ეზოებშია გახსნილი. მაღაზიაბს ამარაგებენ გორიდან.

გუგუტიანთკარი

სოფელ გუგუტიანთ კარში ომამდე რამოდენიმე სხვადასხვა პროფილის მაღაზია ფუნქციონირებდა. დღეისათვის მუშაობს მხოლოდ ერთი მაღაზია, რომელსაც შემოაქვს მხოლოდ პური და სიგარეტი. ამ საქონელით ის მარაგდება გორიდან. დღეს პრობლემაა როგორც მაღაზიის მომარაგების, ასევე შემოტანილი პროდუქციის გასაღების, რადგან სოფლის მოსახლეობას ფული არ გააჩნია.

მერეთი

სოფელ მერეთში ომამდე 15-მდე სხვადასხვა პროფილის მაღაზია ფუნქციონირებდა. უბნებში, ეზოებში, ავტოსადგომებში მრავლად იყო გახსნილი მცირე ზომის მაღაზიები. დღევანდელი მდგომარეობით დარჩენილია სამამდე მაღაზია, ასევე ეზოს შიგნით გახსნილი, სადაც ძირითადად იყოდება პური, ელემენტარული საკვები პროდუქტები, სიგრეტი. მოსახლეობა საერთოდ ვერ ხედავს მაღაზიებში პროდუქციის სხვა სახეობის შეტანის საჭიროებას, რადგან ფინანსური სახსრები არ გააჩნიათ მათ შესაძენად.

კარბი

სოფელ კარბში მძიმე სოციალური და ეკონომიკური სიტუაციაა. თუკი აგვისტოს მოვლენებამდე სოფელში ფუნქციონირებდა რამდენიმე სხვადასხვა პროფილის მაღაზია, დღეს იქ ერთიდა მუშაობს და ისიც, ძირითადად პურისა და პირველადი საჭიროების საკვები პროდუქტით მარაგდება. ასევე იყიდება სარეცხი ფხვნილი და საპონი. პროდუქტი მაღაზიაში შემოდის გორიდან.

მედვრეკისი

მედვრეკისში დღეისათვის ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი მაღაზია, სადაც ძირითადად პროდუქტი და სიგარეტი იყიდება. პროდუქტი მარაგდება გორიდან.

ერგნეთი

ერგნეთში არც ერთი მაღაზია არ მუშაობს. სოფელში დარჩენილ მოსახლეობას დღის განმავლობაში სხვა ქაღაქებიდან ჩასული ოჯახის წევრები აწვდიან ელემენტარულ საკვებს. სოფელში არ არის პურის ყიდვის საშუალებაც.

მოსახლეობა ომამდე მისდევდა სოფლის მეურნეობას და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოყავდათ. ასევე მოყავდათ ერთწლიანი კულტურები – ლობიო, კარტოფილი. სოფლის მაცხოვრებელთა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა **ერგნეთის ბაზრობა**, რომელმაც, თავის დროზე, საკმაოდ გააუმჯობესა სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. მშვიდობიანობის პერიოდში ერგნეთის ქართული მოსახლეობა დაუბრკოლებლად გადადიოდა ცხინვალში და იქ ყიდულობდა პროდუქტებს.

ქსუისი

ქსუისში მაღაზიები დღეისათვის არ ფუნქციონირებს, მაგრამ ქართულმა მოსახლეობამ გადმოცემით იცის, რომ დარჩენილ მოსახლეობას რუსები ჰუმანიტარულ დახმარებით ამარაგებენ.

დისევი

გამოკითხულთა ინფორმაციით, დისევში არც ერთი მაღაზია არ მუშაობს. სოფელ დისევის მოსახლეობა ომაძე მისდევდა სოფლის მეურნეობას (მოჰყავდათ ვაშლი და ყურძენი) და მეცხოველეობას, სოფელი შეძლებულად ცხოვრობდა.

კოშკები

სოფლის მოსახლეობას ურიგდება პენსიები, სხვა შემოსავალი და დახმარება მათ არ გააჩნიათ. სოფელში არის ფულის ნაკლებობა.

ტირმინისი

სოფელ ტირმინისში მაღაზიებიდან მუშაობს ერთი პატარა ჯიხური, სადაც ყიდიან პურს, სიგარეტს და პირველადი მოხმარების ნივთებს.

ე პ თ ნ თ მ ი პ უ რ ი მ დ გ თ მ ა რ ე ბ ა , შ ე მ თ ს ა ვ ლ ე ბ ი :

კარალეთი

კარალეთში დაბრუნებულ მოსახლეობას ძალიან მძიმე სოციალური პირობები დახვდა. მოსახლეობის გადმოცემით, ომის პერიოდში სოფელში დაინგრა ორმოცამდე სახლი. დარჩენილი სახლების დიდი ნაწილი გაძარცვულია. დანაკარგს ძირითად წარმოადგენს ელექტრო ტექნიკა (მაცივარი, ტელევიზორი, მაგნიტოფონი და ა.შ.). მძარცველებს შორის ძირითადად ასახელებენ ოსი ეროვნების მოროდიორებს, შედარებით ნაკლებად რუს სამხედროებს, ხოლო ნაწილი - ადგილობრივ ქართველ მოროდიორებს.

მოსახლეობის ძირითად საჭიროებას ოჯახის ნივთებიდან წარმოადგენს ლოგინი, ტელევიზორი, როგორც ინფორმაცის წყარო, თბილი ტანსაცმელი, ბავშვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ასევე საწოლები, მათ შორის ბავშვის საწოლები.

დანგრეული და დაზიანებული სახლების პატრონებს სჭირდებათ სახლის გადასახური მასალა. დიდი საჭიროებაა შეშაზე - მოსალოდნელი წვიმებისა და შემდგომ თოვლის პირობებში შეუძლებელი იქნება საკმარისი შეშის მარაგის გარეშე გამოზამთრება. ასევე არის საკვების საჭიროება. მოსახლეობას არ ჰყოფნის დარიგებული ჰუმანიტარული დახმარება. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ საკვები არის ერთფეროვანი, რაც განსაკუთრებით მტკიცნეულად აისახება ბავშვთა კვებაზე.

მოსახლეობის გადმოცემით კარალეთში დამწვარი და დანგრეული სახლების მფლობელებს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან აქვთ შეთავაზება 15,000 (დოლარის ექვივალენტის) ოდენობით - განადგურებული ქონების სანაცვლოდ. მოსახლეობის გამოთვლით, ეს თანხა სრულიად არ არის საკმარისი დანგრეული სახლების აღსაძგენად, რომ აღარავერი ვთქვათ დაკარგული ქონების სხვა სახეობებზე. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უკიდურესად გაღიზიანებულია და მათივე თქმით მდგომარეობაში გარკვევისათვის მიმართეს პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლში.

მოსახლეობას არანაირი შემოსავალი არ გააჩნია და არც ფულადი კომპენსაცია მიუღიათ.

დახმარება მიიღეს მხოლოდ გარდაცვლილების ოჯახებმა 10,000 ლარის ოდენობით.

სოფელ კარალეთში ადრე დასაქმებული პირთაგან მხოლოდ პედაგოგებს აქვთ აღებული ხელფასები (აგვისტო-სექტემბერი 2008).

მოსახლეობის უმეტესობას ბანკიდან აღებული ჰქონდა კრედიტი ძირითადად სასოფლო სამუშაოების ჩასატრებლად, მაღაზიების მოსამარაგებლად. ისინი კრედიტის გადახდას ვარაუდობდნენ აღებული მოსავლის რეალიზაციით და, ასევე მაღაზიებიდან მიღებული მოგებიდან. ზოგს ჰქონდა კვარტალური გადასახადის ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილი, ზოგს - თვიურ გადასახადზე. მათ უმრავლესობას მაინც უხდება პროცენტის გადახდა, რადგან (მაგალითად) პროკრედიტ-ბანკმა ადგილზე სიტუაციის შესწავლის შედეგად მხოლოდ ზოგს შეუჩერა გადასახადის გადახდა.

აგვისტოს მოვლენების შედეგად აგვისტოს თვეში მეწარმე მოსახლეობის ნაწილმა ვერ მოახერხა დროულად საშემოსავლო დეკლარაციების შექსება. ეს გარემოება მოსახლეობისათვის პრობლემად გადაიქცა საგადასახადო სამსახურთან მიმართებაში.

ტყვიავი

სოფელი ტყვიავის მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა საგადალოა. მათი გადმოცემით, სოფელში სახლების სამი კატეგორია:

1. და სახლები, რომლებიც გადაურჩა ომის ნგრევას მაგრამ აბსოლუტურად გაძარცვულია; (ასეთი სახლები ყველაზე მეტია)
2. აბსოლუტურად დამწვარი და დაბომბვისაგან დანგრეული სახლები; (გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ბევრია)
3. ნაწილობრივ დანგრეული სახლები (სახლები რომლებიც დაბზარულია დაბომბვებისაგან, ჩამონგრეულია სახლები კედლის ფრაგმენტები, ჩამტვრეულია კარები და ფანჯრები); (შედარებით მცირე)

მოსახლეობის ძირითადი დანაკარგია, პირველ რიგში, დაღუპული თანასოფლებები. (გადმოცემით სოფელში 10-12 კაცი დახვრიტებს ოსებმა და რუსებმა). ეს განცდა მათში იმდენად დიდია, რომ, ხშირ შემთხვევაში, ძნელი და უხერხულიცაა ქონების დანაკარგზე მათთან ინფორმაციის მოძიება.

საოჯახო ნივთებიდან ტყვიაველთა ძირითად საჭიროებას დღეს წარმოადგენს წყლის საქართველოს დანადგარი (სოფლის მოსახლეობა სასმელი წყლით მარაგდება ეზოებში ჭებიდან და, ძირითადად, სწორედ წყლის საქართველის მოპარული მოროდიორების მიერ),

გაზის ბალონები, ტელევიზორი და კომპიუტერი (1-2 მაინც მთელ სოფელში), როგორც ინფორმაციის წყარო. არის უბნები, სადაც ტელევიზორი საერთოდ არა აქვთ. უდიდესი პრობლემაა შეშით მომარაგება, მოსახლეობას ეშინია მოსალოდნელ სიცივეში ნახევრად დანგრეულ ბინებში გამოზამთრების.

დღეს მოსახლეობის **შემოსავლის** ძირითად წყაროს წარმოადგენს ხელფასი (ექიმები, მასწავლებლები). რიგდება პენსიები. ფულადი დახმარება მიიღეს მხოლოდ გარდაცვლილების ოჯახებმა 10,000 ლარის ოდენობით. ხოლო იმ არასრულწლოვნებს ვისაც გარდაცვალა მშობელი ა.წ. ნოემბრიდან დაენიშნებათ პენსია (ადგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით), თუმცა, ჯერ არ იციან, რა ოდენობით განისაზღვრება პენსია.

რაიმე სხვა სახის ფულადი დახმარება მოსახლეობაზე არ გაცემულა. თითქმის ყველა მოსახლეს გაუნადგურდა მოსაგალი და შიდა მეურნეობა. თითქმის აღარავის ჰყავს შინაური ცხოველი.

სოფელი ტყვიავის მოსახლეობის უმეტესობას ბანკიდან აღებული ჰქონდა **კრედიტი** ძირითადად სასოფლო სამუშაოების ჩასატრებლად და მაღაზიების მოსამარაგებლად. კრედიტის გადახდას კი მოსახლეობა ვარაუდობდა აღებული მოსავლის რეალიზაციითა და მაღაზიებიდან მიღებული მოგებით. მოსახლეობა განსაკუთრებით უკმაყოფილოა ტაო პრივატ ბანკის მიღებით, რომელმაც საერთოდ არ გაითვალისწინა ფორს მაჟორული სიტუაცია, მოსახლეობის დღევანდელი მძიმე მდგომარეობა და, ითხოვს ბანკიდან აღებული სესხის პროცენტის დაბრუნებას.

რაც შეეხება სხვა ბანკებს, მაგ. საქართველოს ბანკმა აგვისტოს თვეში გადახდის დროს დასარიცხი პროცენტი აღარ გადაახდევინა მოსახლეობას.

ყველაზე მეტად მოსახლეობის მდგომარეობაში შედის პროკრედიტ ბანკი, მოსახლეობის ნაწილს (განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობებში მყოფ ნაწილს), დროებით შეუჩერა გადასახდის გადახდის აუცილებლობა.

გუგუტიანთკარი

გუგუტიანთკარის მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. სახლების უმრავლესობა გაძარცვულია. ადრე მოსახლეობა ძირითადად მეღვინეობას და მეხილეობას მისდევდა, ამიტომაც, უმეტესი სახლებიდან წაღებულია ღვინო, და ბადებიდან დაკრეფილია ხილი. სახლებიდან წაღებულია საწოლები, ლეიიბები და სხვა პირველადი მოხმარების ნივთები.

ძირითად საჭიროებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა – თუნდაც რამდენიმე ოჯახზე საზიარო, ან სოფელზე რამდენიმე მაინც, რომ შეძლონ მიწის ნაკვეთების დამუშავება. სოფლის მაცხოვრებლები სრულიად არიან მიწის მოსაგალზე დამოკიდებულები. სხვა შემოსავლის წყარო მათ არ გააჩნიათ. სახლის ნივთებისან სჭირდებათ საწოლები და ლოგინი, ასევე ტანსაცმელი (განსაკუთრებით, თბილი).

მოსახლეობის **შემოსავლის** ძირითად წყაროს წარმოადგენს პენსია. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთი იყო, რომელიც მუშაობს (გამგეობრი) და აქვს შესაბამისი ანაზღაურება.

დანარჩენ ოჯახებს, გისაც არც პენსიონერი ჰყავს, შემოსავალი საერთოდ არ გააჩნია. მოსახლეობას არანაირი ფულადი დახმარება არ მიუღია.

მოსახლეობის ნაწილს პქონდა გამოტანილი კრედიტი საქართველოს ბანკიდან. აგვისტოს თვის გარდა გადასახადი მოსთხოვეს, თუმცა მოსახლეობას ჯერ არ გადაუხდია.

მერეთი

მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა ასევე ძალიან მძიმეა მერეთში. სახლები ძირითადად კი გადაურჩა გაძარცვას, მაგრამ განადგურებული და დაკარგული მოსავალი და მოსახლეობას დაკარგული ყავს შინაური ფრინველი და საქონელი.

მერეთელების შემოსავლის ძირითად წყაროს ომამდე წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებიდან მიღებული შემოსავალი. სოფელში მოჰყავდათ ვაშლი, შინდი, ყურძენი, პამიდორი. საქონელბრუნვა და შემოსავალი საქმაოდ დიდი იყო. სოფლის მცხოვრებლები ახერხებდნენ ერთმანეთის დასაქმებასა და ერთჯერადი ანაზღაურების გაცემასაც (ხილის კრეფის, შეფუთვის დროს). მოსახლეობა მოსავლის უდიდეს ნაწილს ყიდდა. ზოგს პქონდა სავაჭრო ჯიხურები და მთი სშუალებით არჩენდა ოჯახს.

ომის შემდგომ მოსახლეობას შემოსავლის ერთადერთ საშუალებად დარჩა მხოლოდ პენსიები და ხელფასი. სოფლის მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობაა დასაქმებული და იდებს ხელფასს (ძირითადად მასწავლებლები და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლები, ამბულატორიის ექიმები).

რაიმე ფულადი დახმარება სოფლის მოსახლეობას არც დევნილობაში და არც შემდგომ არ მიუღია.

გამოკითხულთაგან მერეთში ბანკიდან სესხის არავის არ პქონდა აღებული. მიწის გადასახადი (პექტრამდე 48 ლარი) გადასახდელი აქვთ, მაგრამ ჯერ არავის მოუთხოვია ამის გადახდა.

კარბი

სოფელ კარბში დაბომბვის შედეგად სახლების ნაწილი დანგრეული და დაზიანებულია. სოფელში არ არის მოროდიორობისა და ძარცვის ფაქტები. საოჯახო ნივთების საჭიროება აქვს მხოლოდ დანგრეული სახლების მეპატრონეებს.

კარბის მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს ომამდე წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. დღეს სოფლის მოსახლეობის ძირითად შემოსავალს მხოლოდ ხელფასები და პენსიები წარმოადგენს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოფელში დასაქმებულთა რაოდენობა ძალიან ცოტაა. ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა მიიღეს დახმარება 10,000 ლარის ოდენობით. სხვა სახის დახმარება, ან ასეთის შემოთავაზება არავის არ მიუღია.

კარბის გამოკითხული მოსახლეობა ამბობს, რომ გადასახადის ამკრეფშა გააფრთხილა, რომ ა.წ. 10 ნოემბრიდან უნდა დაიფაროს ელექტრო ენერგიებს საფასური.

მედვრეკისი

მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა ძალიან მძიმეა სოფელ მედვრეკისში. მედვრეკისის სახლების ნაწილი დაბომბვისგან დანგრეული და დაზიანებულია, კედლები დაბზარულია. სახლების გარკვეული ნაწილი გაძარცვულია. სახლებიდან წაღებულია ელექტრო ტექნიკა. მოსახლეობის ძირითად საჭიროებას წარმოადგენს მიწის დასამუშავებელი ტექნიკა (ტრაქტორები) სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისათვის. დანგრეული სახლების მეპატრონეებს ესაჭიროებათ ლოგინ, თბილი ჩასაცმელი, რადგან მიღებული კომპიუტერი მხოლოდ სახლის ელემენტარულ აღდგენას ხმარდება. მოსახლეობა ითხოვს პირველადი მოხმარების ნივთებით დახმარებას.

სოფელ მედვრეკისში ომამდე მოსახლეობა მისდევდა სოფლის მეურნეობას და მეცხოველეობას. დამატებითი შემოსავალი იყო ერგნეთის ბაზრობა. დღეს სოფლის მაცხოვრებლებს არანაირი დმატებითი შემოსავალი არა აქვს, თუ ვინმეს დარჩა მოსავალი და ახერხებს მის აღებას, იმედი აქვს რომ ცოტაოდენი შემოსვლის წყარო მაინც გაუჩნდება. მოსახლეობის უმრავლესობა ახლა ბაღებშია გასული და თუ რამე დარჩა მის აღებას ცდილობს მიუხედავად ნაღმების საშიშროებისა.

მოსახლეობაში რიგდება ხელფასები ვინც დასაქმებულია (მათი რიცხვი ძალიან მცირეა) და რიგდება პენსიები.

მედვრეკისის დანგრეული სახლების მაცხოვრებლებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ შესთავაზა ფულადი დახმარება 15 000 დოლარის ოდენობით. მოსახლეობის აზრით ამ თანხით სახლის სრული აღდგენა ვერ მოხერხდება და უმრავლესობამ უარი თქვა ამ დახმარებაზე. თუმცა, გარკვეულმა ნაწილმა, ვინც უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობდა, აიღო ეს ფული ელემენტარული აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

ერგნეთი

ერგნეთში მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. მოსახლეობის გადმოცემით, 265 სახლიდან ნახევრად დანგრეული დარჩა 35. დანარჩენი სახლები აბსოლუტურად განადგურებულია. მოსახლეობის გადმოცემით, სახლების ნაწილი საომარი მოქმედებების დროს განადგურდა, ნაწილი კი მაშინ, როდესაც ქართული ჯარების უკანდახევის შემდეგ სოფელში შემოვიდნენ რსი შეიარაღებული ბანდფორმირებები და დაიწყეს სახლების დაწვა. დამწვარი სახლები შემდგომ კიდევ გაიძარცვა უკვე მოროდიორების მიერ, სახლიდან რომ ვერაფერი ვედარ მიპქონდათ (ძირითადი ნივთები დამწვარი იყო), დაიწყო სარდაფებისა და სადგომების ძარცვა. მოსახლეობა ამბობს, რომ შეიარაღებულთა შორის ასევე იყვნენ ინგუშებიც, თუმცა მათი მონაწილეობის ფაქტი ძარცვასა და სახლების დაწვაში ცნობილი არ არის.

დაბრუნებულ მოსახლეობას არა აქვს არც სახლები, არც ოჯახის ნივთები. თუმცა, გამოკითხულთა უმრავლესობა, პირველ რიგში, მშვიდობიან ცხოვრებას და უსაფრთხოებას ითხოვს. მოსახლეობა ითხოვს დანგრეული სახლების აშენებას მათი გადათვლით, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული 15 000 დოლარი არ ყოფნის იმასაც კი, რომ დამწვარი სახლების ძირითადი კედლები აღადგინონ და სახლი სახურავით გადახურონ.

ერგნეთში დღეისათვის ზემოთჩამოთვლილი შესაძლო ყველა შემოსავლის წეარო აღარ არსებობს. მოსახლეობა დარჩა დანგრეულ სოფელში ჰუმანიტრული დახმარების იმედზე, რომელიც ადგილზე არ მიეწოდებათ. დახმარებას იღებენ ის ერგნეთელები, რომლებიც დღეისათვის ცხოვრობენ დევნილთა განსახლების პუნქტებში და სწორედ ისინი აწვდიან თავიანთ თანასოფლელებს მცირედ ჰუმანიტარულ დახმარებას. არანაირი ფულადი დახმარება მოსახლეობას დევნილობაში არ მიუღია.

აგვისტოს ომის დროს გარდაცვლილთა ოჯახის წევრები ამჟამად სოფელში არ არიან და მიიღეს თუ არა ფულადი დახმარება 10000 ლარის ოდენობით ცნობილი არ არის. გამოკითხულებს ბანკებიდან კრედიტები არ ჰქონდათ აღებული.

ქსუისი

სოფელ ქსუისის მოსახლეობის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს პენსიები. დანარჩენი არანაირი დახმარება მოსახლეობას არ მიუღია. მოსახლეობას იმედი აქვს რომ ხელისუფლება მათ სადღაც განათავსებს. თუ სად, მათ ჯერჯერობით ინფორმაცია არა აქვთ. სოფლის მაცხოვრებლებს არა აქვთ ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის შესახებ.

დისევზი

სოფელ დისევში უმძიმესი მდგომარეობაა. გამოკითხულთა სახლები დამწვარია და ქონება განადგურებული. სოფელში სულ გადარჩენილია 4 სახლამდე. გადარჩენილია ალ. ეპისკოპოსის სახლი, მისი მემკვიდრის ინფორმაციით, რომელსაც ინფორმაცია აქვს სოფლის გამგებლისგან, სოფლიდან გამოქცეულთა უმრავლესობა საომარი მოქმედების დროს ამ სახლის სარდაფს აფარებდა თავს.

კოშკები

მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა ძალიან მძიმეა კოშკებში. სახლების უმრავლესობა გაძარცვულია. წაღებულია ლოგინი, საოჯახო ნივთები. სარდაფებიდან წაღებულია ღვინო. ასევე, წაღებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ტირმინისი

სოფელ ტირმინისის მოსახლეობის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ბაღებში გადარჩენილი მოსავალი, ასევე რიგდება ხელფასები და პენსიები. სახელმწიფო დახმარება 15 000 ლოდარის ოდენობით მოსახლეობის ნაწილმა აიღო. გარდაცვლილების ოჯახებზე დახმარებაც მოსახლეობამ მიიღო.

ე ლ ე ქ ტ რ თ ე ნ ე რ გ ი ა , გ ა ზ ი , წ ყ ა ლ ი :

კარალეთი

სოფლებს ელექტროენერგია მიეწოდებათ შეუზღუდავად. სოფლებში დარჩენილ მოსახლეობას ჰქონდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მათ შუქის საფასურს 1 იანვრამდე არ გადაახდევინებდნენ, თუმცა ოქტომბრის შუა რიცხვებში იყო შუქის გამორთვის მცდელობა დავალიანების გადუხდელობის გამო. ადგილობრივი მოსახლეობის ადშფოთებას მოჰყვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის ჩასვლა ადგილზე. ის მოსახლეობას შეპირდა აგვისტოს და სექტემბრის თანხების ჩამოწერას. თუმცა, ოქტომბრის ბოლოს მოსახლეობას ისევ გამოუცხადეს, რომ თუ არ გადაიხდინენ თუმცა, ოქტომბრის დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს, მათ შეუწყდებათ ელექტროენერგიის მიწოდება. ამ ფაქტით მოსახლეობა უკიდურესად გადიზიანებულია.

აგვისტოს ომის შედეგად სოფლებში დაზიანდა გაზგაყვანილობა და მოსახლეობას დღეისათვის ბუნებრივი აირი არ მიეწოდება. მოსახლეობის ნაწილს აქვს ე.წ. თხევადი აირის ბალონები, მაგრამ მათი დატენვა უსასხრობის გამო შეუძლებელია.

ტყვიავი

სოფელ ტყვიავს ელექტროენერგია დღეგამოშვებით მიეწოდება. შემოღებულია გრაფიკი უბნების მიხედვით. ა.წ. აგვისტო-სექტემბრის გადასახადი მოსახლეობისათვის არ მოუთხოვიათ. თუმცა, ოქტომბერში უკვე დაიწყო გამოყენებული ენერგიის საფასურის გადახდის მოთხოვნა. მოსახლეობის ნაწილმა იგი უკვე გადაიხადა. ნაწილი კი პროტესტს გამოთქვამს და არ აპირებს გადახდას.

გაზი სოფელს საერთოდ არ მიეწოდება, თუმცა სოფელი გაზიფიცირებულია და ომამდე ეს პრობლემა სოფლის მოსახლეობის წინაშე არ იდგა.

გუგუტიანთკარი

სოფელს ელექტრო ენერგია დაბრუნებისას აღუდგა. შუქის გადასახადის შედავათს არავინ პირდება. მოსახლეობას აქვს ინფორმაცია, რომ თანხების ამოდება 10 ნოემბრიდან განახლდება. ეს გარემოება იწვევს დიდ აგრძელას. მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს იმიტომ, რომ მათ გადახდის საშუალება არა აქვთ.

გაზი სოფელს არც მიეწოდებოდა და არც ეხლა აქვს. თხევადი გაზის ბალონები აქვთ, თუმცა არის მთი დატვირთვის პრობლემა.

ასევე დგას შეშით მომარაგეის პრობლემა. შეშა ადრე მოსახლეობას ტყიდან მოჰქონდა, მაგრამ ახლა იმის გამო, რომ ტყე ე.წ. სასაზღვრო ზოლშია, ის ხელმისაწვდომი ადარ არის, რადგან სერიოზულად დგას უსაფრთხოების პრობლემა .

სოფელს ვანათიდან ჰქონდა წყალი გადაკეტილი, თუმცა სოფელი ალტერნატიული საშუალებებით ახერხებს წყლის მარაგის შევსებას.

მერეთი

სოფელს ელექტრო ენერგია მიეწოდება, მოსახლეობას აქვს ინფორმაცია, რომ ენერგიის გადასახადის აკრეფას დაიწყებენ 10 ნოემბრიდან. მერეთელები უკიდურესად აღშფოთებული არიან და ამბობენ, რომ არ აპირებს საფასურის გადახდას.

გაზი სოფელს ომამდეც არ მიეწოდებოდა, გაზის ბალონები მოსახლეობაში არის, მაგრამ მათი დატუმბვის პრობლემა დღესაც აქტუალურია ფინანსური პრობლემების გამო.

სოფელში არის სასმელი წყლის გადაკეტვის საშიშროება, რადგან ერთხელ ვანათიდან უკვე იყო გადაკეტილი წყალი და 1 დღის განმავლობაში სოფელს წყალი არ მიეწოდებოდა. ვანათი კი დღეის მდგომარეობით ოკუპირებულია.

კარბი

ომის პერიოდში სოფელ კარბს ელექტრო ენერგია გარკვეული პერიოდი არ მიეწოდებოდა. სოფელში დარჩენილების გადმოცემით, შუქის მიწოდება მოსახლეობას აღუდგა 10 სექტემბრიდან. მოსახლეობის გაკვირვებას იწვევს მრიცხველზე დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებელი იმ დროს, როდესაც თვითონ სოფელში თითქმის არ იმუოფებოდნენ და, შესაბამისად, მოსალოდნელი დიდი რაოდენობის გადასახად. სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს გადასახდის საშუალება არა აქვს.

სოფელი არ არის გაზიფიცირებული. მოსალოდნელი ზამთრის მოახლოებასთან ერთად გაჩნდა შეშის მოპოვების დიდი პრობლემა, რადგანაც ტყეში გასვლა ხის მოსაჭრელად უსაფრთხო არ არის.

მედვრეკისი

ელექტრო ენერგია სოფლის დიდ ნაწილს მიეწოდება, ხოლო დანგრეული სახლების პატრონებს აღსადგენი აქვთ ელექტროგაყვანილობაც. ელექტრო ენერგიის გადასახადი ჯერ არ მოჟთხოვიათ. თუმცა, მოთხოვნის შემთხვევაშიც კი, მაინც ვერ შეძლებენ თანხის გადახდას, როგორც თვითონ აღნიშნეს.

ომის შემდეგ წყალი მხოლოდ ერთ უბანში მოდის და მთელი სოფელი წყალს იქედან ეზიდება. მოსახლეობა უმძიმეს სოციალურ და ეკონომიკურ პირობებშია.

ერგნეთი

ელექტრო ენერგია, გაზი, წყალი სოფელს არ მიეწოდება. წყალს სოფლის მოსახლეობის ნაწილი მედვრეკისიდან ეზიდება. ნაწილი საერთოდ უწყლოდად დარჩენილი. სოფელში არ არის მობილური ტელეფონით კავშირი.

ქსეუისი

სოფლიდან დევნილმა მოსახლეობამ ელექტრო ენერგიის, გაზისა და წყლის შესახებ ინფორმაცია, ე.ი. მიეწოდებათ თუ არა, არ იციან. დევნილი მოსახლეობა უმძიმეს სოციალურ და ეკონომიკურ პირობებშია.

დისევი

დისეველ გამოკითხულებს არა აქვთ ინფორმაცია სოფელში რაიმე სამედიცინო დაწესებულება ან აფთიაქი მუშაობს თუ არა. სოფლის მაცხოვრებლებს არა აქვთ ინფორმაცია ელ. ენერგია, გაზი და წყალი სოფელს მიეწოდება თუ არა.

კოშკები

სოფელს ელექტრო ენერგია აქვს, მაგრამ მისი საფასურის გადახდა სოფლის მოსახლეობას არ შეუძლია. გაზი სოფელს არ მიეწოდებოდა და არც ეხლა აქვს. წყალი ზოგჯერ უწყდებათ სოფელ ავნევიდან. ამიტომ წყალი სოფელს შეფერხებით მიეწოდება.

კოშკებში ასევე დგას შეშით მომარაგების პრობლემა. შეშა ადრე მოსახლეობას ტყიდან მოჰქონდა, მაგრამ ეხლა იმის გამო რომ ტყე ე.წ. სასაზღვრო ზოლშია სერიოზულად დგას უსაფრთხოების პრობლემა. მოსახლეობა ეზოში ცდილობს მოჭრას ბუჩქები და ხეები და გამოიყენოს შეშად.

ტირმინისი

სოფელ ტირმინისში ელექტრო ენერგია მიეწოდებათ. გადასახადი ჯერ არ მოუთხოვიათ, თუმცა მოსახლეობას არა აქვს მისი გადახდის არანაირი საშუალება. გაზი სოფელს არ მიეწოდება. წყალი მიეწოდებათ შეფერხებით, რადგან ზოგჯერ სოფელი ავნევიდან ხდება წყლის მიწოდების შეწყვეტა.

ტ რ ა ნ ს პ ა რ ტ ი / მ გ ზ ა გ რ ო ბ ა :

კარალეთი

სოფელში რეგულარულად დადის ტრანსპორტი. მოსახლეობას მგზავრობის ხარჯებთან დაკავშირებით არანაირი შეღავათები არ გააჩნიათ. ავტობუსითა და სამარშრუტო ტაქსით გორამდე მგზავრობის გადასახადს წარმოადგენს 0.50 ლარი.

ტყიავი

ტყიავიდან გორში მგზავრობა ავტობუსითა და სამარშრუტო ტაქსით შესაძლებელია მხოლოდ დღის საათებში. შებინდებისთანავე ტრანსპორტის მდგრლებიცა და ადგილობრივი მოსახლეობაც ერიდება მგზავრობას. მგზავრობის საფასური ტრანსპორტის ნებისმიერი საშუალებით არის 1 ლარი.

მოსახლეობას მგზავრობის ხარჯებთან დაკავშირებით არანაირი შეღავათები არ გააჩნია.

გუგუტიანთკარი

ტრანსპორტიდან დადის გორი – მერეთი – გუგუტიანთკარის სამარშრუტო ყვითელი ავტობუსი დღეში ერთხელ. ახლა ეს მარშრუტი შემოკლდა და არ გადის სოფლის ბოლომდე. ავტობუსი ჩერდება სოფლების - გუგუტიანთკრისა და კოშკების გზის გასაყარზე. სამარშრუტო ტაქსი დადის რეგულარულად დღის 4 საათამდე. ლირებულება არის 1.50 ლარი.

მოსახლეობას მგზავრობის ხარჯებთან დაკავშირებით არანაირი შედაგათები არ გააჩნია.

მერეთი

მერეთში ტრანსპორტიდან დადის გორი – მერეთი – გუგუტიანთკარის მარშრუტის ყვითელი ავტობუსი დღეში ერთხელ. ასევე დადის სამარშრუტო ტაქსი რეგულარულად დღის 4-5 საათამდე. მგზავრობის ლირებულება არის 1.50 ლარი. მგზავრობის ხარჯებთან დაკავშირებით არანაირი შედაგათები არ არსებობს.

კარბი

კარბში მოძრაობს ავტობუსი და სამარშრუტო ტაქსი გორი – მერეთი – გუგუტიანთკარის მიმართულებით. მგზავრობის ლირებულება 1.50 ლარი.

მელვრეკისი

მედვრეკისში მოძრაობს ავტობუსი და სამარშრუტო ტაქსი გორი-ერგნეთის მარშრუტით. მგზავრობის გადასახდია 1.50. ტრანსპორტი მათი გადმოცემით მუშაობს საღამოს 5 საათამდე.

ერგნეთი

ერგნეთში მოძრაობს ავტობუსი და სამარშრუტო ტაქსი გორი-ერგნეთის მარშრუტით. მგზავრობის გადასახდია 1.50. ტრანსპორტი მოსახლეობის გადმოცემით მუშაობს 16:00 საათამდე.

ქსუისი

დისევში ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები არ დადის.

დისევ

დისევში ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები არ დადის.

კოშკები

ტრანსპორტიდან დღეს დადის კოშკებისა და გუგუტიაანთ კარის გზის გასაყრამდე სამარშრუტო ტაქსები და ყვითელი ავტობუსი 4 საათამდე. მოსახლეობას მგზავრობის ხარჯებთან დაკავშირებით არანაირი შედაგათვები არ გააჩნია.

ტირმისი

ტრანსპორტიდან დღეს დადის გორი-ერგნეთის სამარშრუტო ტაქსები და ყვითელი ავტობუსი 4 საათამდე. საფასური 1,5 ლარია.

ჯ ა ნ დ ა ც ვ ა :

კარალეთი

ომამდე მთელი საკრებულოს ტერიტორიას ემსახურებოდა ერთი ამბულატორია, რომლის შენობაც დღეისათვის სრულიად დამწვარი და განადგურებულია, სახურავიც კი ადარ აქვს.

საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას უხდება სასწრაფოს გორიდან გამოძახება. აფთიაქი არ ფუნქციონირებს და არც მედიკამენტები შეუტანია ვინმეს - არც საერთაშორისო ორგანიზაციას და არც ადგილობრივ ხელისუფლებას.

ტყვიავი

სოფელ ტყვიავში მუშაობა განაგრძო ტყვიავის საავადმყოფომ, თუმცა იგი სრული დატვირთვით ვერ ფუნქციონირებს იმის გამო, რომ არის სრულიად გამარცვული, საჭიროებს სამედიცინო ტექნიკისა და მედიკამენტების შეტანას.

საწრაფო დახმარების გამოძახება შეიძლება მხოლოდ გორიდან. სოფელში ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებს არც ერთი აფთიაქი. მედიკამენტებით მომარაგებას უზრუნველყოფს მხოლოდ საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია, ხმარებაშია სპეციალური სამდიცინო ფორმა №100 (დაავადებათა მიხედვით წამლების უფასოდ გასაცემად).

გუგუტიანთკარი

სოფელში მუშაობს ამბულატორია, თუმცა არ მუშაობს დატვირთვით, არ გააჩნია არანაირი მედიკამენტი. სასწრაფოს იძახებენ ტყვიავიდან. სოფელში არ მუშაობს აფთიაქი. საერთაშიორისო ორგანიზაციების დახმარებაც არ აუტანიათ ამ სოფლამდე.

მოსახლეობის გადმოცემით, სოფელში მიღის უამრავი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაცია, ისინი მხოლოდ ინიშნავენ მოსახლეობის გასაჭირს, ხოლო რეალურად არაფრით ეხმარებიან მათ. ეს ფაქტი ხალხში უკიდურეს გადიზიანებსა და გულისწყრომას იწვევს.

მერეთი

სოფელ მერეთში მუშაობა განაგრძო მერეთის ამბულატორიამ, თუმცა არის მედიკამენტების პრობლემა. სოფელში ერთხელ მიიტანეს მედიკამენტები ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებში. მოსახლეობა არსებული პირობებისა და გადატანილი ომის გამო მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია და ითხოვს დამამშვიდებელი საშუალებებისა და კანის დავადების საწინააღმდეგო მედიკამენტების ჩატანას სოფელში, განსაკუთრებით ქალებისათვის. სასწრაფოს გამოძახების საშუალება არის ტყვიავიდან.

კარბი

სოფელში არ მუშაობს ამბულატორია, არის მხოლოდ სასწრაფო დახმარების გამოძახებს საშუალება ტყვიავიდან. მედიკამენტები სოფელში დარიგდა ერთჯერადად საერთაშორისო ორგანიზაციონის მიერ (საგარაუდო, წითელი ჯვრის მიერ).

მედვრეკისი

მედვრეკისის ამბულატორია დღესაც არ მუშაობს, თუმცა მოსახლეობას პირდებიან რომ სამედიცინო პუნქტი მათვის მაღე ხელმისაწვდომი გახდება. მოსახლეობა კმაყოფილია სასწრაფოს მუშაობით. მისი გამოძახება შესაძლებელია სოფ. ტყვიავიდან. აფთიაქი არ მუშაობს. მედიკამენტები ერთჯერდად შეიტანეს სოფელში.

ერგნეთი

ერგნეთში არც ამბულატორია ფუნქციონირებს, თუმცა ომამდე ის სრული დატვირთვით - ტექნიკითა და მედიკამენტებით სრულად აღჭურვილი მუშაობდა. არის მედიკამენტების ნაკლებობა. დღეისათვის არავის არ შეაქვს მედიკამენტები.

ქსუისი

დისევი

კოშკები

სოფელში არ მუშაობს არანაირი სამედიცინო დახმარების პუნქტი, მოსახლეობას ერთხელ მიეწოდა მედიკამენტები.

ტირბნისი

სოფელ ტირმინისში ჯერ არ არის ამუშავებული ამბულატორია, თუმცა მოსახლეობას დაპირდნენ, რომ იგი ფუნქციონირებას ნოემბრიდან დაიწყებს. წამლები მოსახლეობას მიეწოდა მხოლოდ ერთხელ (ოცდდიანი სოციალური დახმრების ფარგლებში), მაგრამ მაინც მედიკამენტების ნაკლებობას განიცდიან.

ი ნ ფ თ რ მ ა ც ი ი ს	ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ თ მ თ ბ ა ,
ი ნ ფ თ რ მ ა ც ი ი ს	ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი :

კარალეთი

ინფორმაციის საშუალებებიდან კარალეთის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ტელევიზორი. მეზობლები იკრიბებიან ერთმანეთის სახლებში ტელევიზორის საყურებლად. გაზეთები ძირითადად არ მიეწოდებათ. რადიოს უსმენენ მხოლოდ მამაკაცები, რომლებსაც ერთი რადიო აქვთ გატანილი სოფლის თავშეყრის ადგილას და ერთად უსმენენ. ინფორმაციასა და ახალ ამბებს ძირითადად ისინი იღებენ ერთმანეთისაგან ან სოფელში გორიდან ჩასული ადამინებისაგან.

კარალეთის მეზობელი სოფლებია: დიდი და პატარა გარეჯვარი და ტყვიავი. მოსახლეობას ფაქტიურად არა აქვს მეზობელ სოფლებთან კონტაქტი ომის განახლების საშიშროებისა და გადაადგილების უსაფრთხოების გამო.

ტყვიავი

ინფორმაციის საშუალებებიდან ტყვიავის მოსახლეობას არა აქვს ტელევიზორი: ზოგიერთ უბანში ტელევიზორი საერთოდ არ არის, ზოგ უბანში - ორიოდე ოჯახს აქვს და საღამოობით ყველა მეზობელი მათთან იკრიბება. მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელსაც ფინანსური შესაძლებლობა აქვს (ძირითადად ექიმები), ჩავიდეს გორში და შეიძინოს გაზეთები - კითხულობენ “რეზონანსს” და “კვირის პალიტრას” (შექმნილი მდგომარეობისა და საინფორმაციო ვაკუუმის გამო, მოსახლეობა ყველანაირი გზით ცდილობს, მოიპოვს ინფორმაცია, მათ შორის მეზობლიდან ან იქ ჩასული ადამიანისგან). ძირითადად კი, გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ერიდება გადაადგილებას სოფლის შიგნითაც კი, უსაფრთხოების მიზნით. ასე რომ, ხშირად მათ ერთმანეთზე და სოფლის სხვა უბნებში მცხოვრებ ადამიანებზე ინფორმაცია არა აქვთ.

ტყვიავის მეზობელი სოფლებია: კარალეთი, ძევერა, ფლავი, კარბი, ტირმინისი. ტყვიავების მეზობელი სოფლების შესახებ ინფორმაცია არა აქვთ და მეტ-ნაკლებად იციან მხოლოდ ის, რაც გადაიცემა ტელევიზიოთ.

გუგუტიანთკარი

სოფელ გუგუტიანთკარის მოსახლეობა ინფორმაციას ძირითადად იღებს ტელევიზორიდან (ვისაც დარჩა), ან მანქანის რადიოებიდან. გაზეთები სოფელს არ მიეწოდება, არც რეგიონალური და არც ცენტრალური პრესა.

გუგუტიანთკარის **მეზობელი სოფლებია:** მერეთი, კოშკები და დისევი. მეზობელი სოფლების შესახებ ინფორმაცია აქვთ მხოლოდ კოშკების შესახებ: ის მაცხოვრებელი ადამიანები ბაღებში ვერ გადიანო, ეს სოფელი ესაზღვრება რუსებითა და ოსებით სავსე სოფელ ქერქს და ეს ხალხი მათ ხელში ფაქტიურად მძევლდაა მოქცეულიო. ამ სოფელში მცირე რაოდენობით დაბრუნდა ხალხი. ისინიც დამე არ რჩებიან შიშის გამო.

მერეთი

ინფორმაციას მერეთის მოსახლეობა ძირითადად იღებს ერთმანეთისაგან, აგტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისაგან, ასევე ტელევიზორის საშუალებით, ვისაც აქვს. თუ სოფელში ვინმეს დარჩა მანქანა, მას აქვს საშუალება ახალი ამბები რადიოს საშუალებით მიიღოს. სოფელს გაზეთები საერთოდ არ მიეწოდება.

მერეთის **მეზობელი სოფლებია:** გუგუტიანთკარი და კოშკები. მერეთელები ძალიან მძიმედ განიცდიან სოფელ კოშკებში არსებულ მძიმე ვითარებას და სოფლის მოსახლეობის გაუსაძლის პირობებს.

კარბი

ინფორმაციას კარბის მოსახლეობა იღებს მეზობლებისაგან და ტელევიზიის საშუალებით. გაზეთები არ მიეწოდებათ.

სოფელ კარბს ესაზღვრება შემდეგი სოფლები: ქორდი, მერეთი სამხრეთით (ოდნავ მოშორებით) - ტყვიავი.

კარბის მოსხლეობა ყველაზე მეტად განიცდის სოფელ კოშკებში არსებულ მძიმე სიტუაციას. მათი გადმოცემით, იქ ხდება ქართული მოსახლეობის შევიწროება, მათ თავისუფალი გადადგილების საშუალება არა აქვთ, ისინი ვერ გადადიან თავიანთ კუთვნილ ბაღებში ვერ იღებენ მოსავალს რუსული და ოსური შეიარაღებული პირებისა და ბაღებში არსებული ნაღმების შიშით. სოფელში დაბრუნდა მხოლოდ მოხუცებული და ასაკოვანი ხალხი, ახალგაზრდობა საღამოს დადგომისთანავე ტოვებს სოფელს და მიდის გორში და ან სხვა სოფლებში. შეშფოთებული კარბელები აცხადებენ, რომ თუ ასე გაგრძელდა სოფელი კოშკები მოსახლეობისაგან მაღე დაიცლება და ხელოვნური ეწ. ადმინისტრაციული საზღვარი უფრო ქვემოთ ჩამოიწევს.

მელვრეკისი

სოფლის მოსახლეობა ტელევიზორიდან იღებს ძირითადად **ინფორმაციას.** გაზეთები სოფელს არ მიეწოდება.

სოფელ მედვრეკისს ესაზღვრება სოფლები: ერგნეთი და ტირმისი. მოსახლეობა ძალიან განიცდის ერგნეთის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას.

ერგნეთი

მოსახლეობას ადგილზე ინფორმაციის მიღების არანირი საშუალება არ გააჩნია. ისინი ინფორმაციას იღებენ იმ განსახლების პუნქტებში, სადაც დროებით არიან შეფარებულნი.

სოფელ ერგნეთს ესაზღვრება: ცხინვალი და სოფელი ტირმისი. მათ მეზობელ დასახლებულ პუნქტებზე ინფორმაცია არა აქვთ.

ქსუისი

ქსუისის მოსახლეობა ტელევიზორიდან იღებს ძირითადად ინფორმაციას დევნილოდ განსახლების პუნქტებში. ქსუისის მაცხოვრებლებს არა აქვთ ინფორმაცია სასწავლო დაწესებულებები ამჟამავდა თუ არა.

სოფელ ქსუისს ესაზღვრება მერეთი.

დისკვი

დევნილ მოსახლეობას არც ტელევიზორის და არც რადიოს საშუალება არ გააჩნია. ისინი ინფორმაციას იღებენ იმ განსახლების პუნქტებში სადაც დროებით არიან შეფარებულნი.

დისკვის ესაზღვრება გუგუტიაანთკარი. მათ მეზობელ დასახლებულ პუნქტებზე ინფორმაცია არა აქვთ.

კოშკები

მოსახლეობა ინფორმაციას იღებდა ძირითადად ტელევიზორიდან, რომლებიც ფაქტოურად აღარავის არა აქვს.

ტირმისი

სოფელში მოსახლეობა ტელევიზით იღებს ძირითადად ინფორმაციას. გაზეთები არ მიეწოდებათ.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა :

კარალეთი

კარალეთის სკოლა დამწვარი და დანგრეულია. სასწავლო პროცესი ამ სოფელში არ განახლებულა, ამ სკოლის მოსწავლეები გადასულები არიან სოფ. პატარა გარეჯვრის სკოლასა და საბავშვო ბაღში. სოფ. დიდი გარეჯვრის სკოლა ფუნქციონირებს, თუმცა

ბავშვების დიდი რაოდენობა არ დადის სკოლებში. ამის ძირითად მიზეზად დასახელდა თბილი ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და რა თქმა უნდა სასკოლო სახელმძღვანელოების არქონა. მოსახლეობის გადმოცემით, სახელმძღვანელოებს შეპირდნენ 1 ნოემბრიდან. საბავშვო ბალი კარალეთში დამწვარია, ხოლო მეზობელ სოფლებში ბავშვებს ისედაც გერ გაუშვებენ დაუცველობისა და უსაფრთხოების გამო.

ტყვიავი

ტყვიავში ფუნქციონირებს საშუალო სკოლა. მასწავლებლები დადიან სკოლაში, თუმცა არის წიგნებისა და სასკოლო ნივთების დეფიციტი. წიგნები დარიგდა პირველკლასელთათვის, ხოლო ზოგიერთი კლასებისათვის წიგნები საერთოდ არ გაუციათ.

განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი 100 ლარი მოსწავლეებისათვის არც ერთ ოჯახს არ მიუღია.

საბავშვო ბალები კი გახსნილია, მაგრამ არ ფუნქციონირებს იმის გამო, რომ მოსახლეობას ეშინია თავიანთი შვილების გაშვება მათი უსაფრთხოების თვალსაზრისით.

გუგუტიანთკარი

გუგუტიანთ კარში ომამდე ფუნქციონირებდა მხოლოდ 1 დაწყებითი სკოლა, მაგრამ ჯერ იქ სწავლა არ განახლებულა, რადგან ახალგაზრდობა და ბავშვები არ დაბრუნებულან. განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი 100 ლარი მოსწავლეებისათვის არც ერთ ოჯახს ჯერ არ მიუღია. თუმცა ამბობენ, რომ დარიგება დაიწყო.

საბავშვო ბალები გახსნას აპირებდნენ 1 ნოემბრიდან. თუმცა მეტი ინფორმაცია არ აქვთ.

მერეთი

მერეთში საშუალო სკოლამ მუშაობა დაიწყო ოქტომბრის ბოლოს. მასწავლებლები დადიან სკოლაში (ზირითადად ადგილობრივი პედაგოგები). 3 ნოემბერს დაიწყო განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი 100 ლარიანი დახმარების გაცემა მოსწავლეებისათვის.

რაც შეეხება საბავშვო ბალს, ჯერ არ დაუწყია მუშაობა.

კარბი

კარბის საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესი დაიწყო ოქტომბრის ბოლოს. მასწავლებლები გამოცხადდნენ სკოლაში, მათი უმეტესობა მეზობელი სოფლების მაცხოვრებლები არიან. სოფელში არის სასკოლო წიგნების დიდი დეფიციტი. მოსახლეობა ელოდება განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი 100 ლარის განაწილებას.

საბავშვო ბაღი სოფელში არ ფუნქციონირებს.

მედვრებისი

მედვრებისში სასწავლო პროცესი განახლდა ოქტომბრის ბოლოს. თუმცა არის წიგნებისა და სასკოლო ნივთების დეფიციტი. წიგნები და ჩანთები დარიგდა მხოლოდ პირველკლასელებისათვის, სხვა კლასებისათვის წიგნები საერთოდ არ გაუციათ. განათლების სამინისტროს მიერ მოსწავლეებისათვის გამოყოფილი 100 ლარიანი დახმარების გაცემა დაწყებულია. სოფლში საბავშვო ბაღი საერთოდ არც ყოფილა.

ერგნეთი

ერგნეთის საშუალო სკოლა დანგრეულია. ერგნეთში სასწავლო პროცესი არ განახლებულა. არ არის საბავშვო ბაღიც.

ქსუისი

დისევი

დისევში არ იციან სასწავლო პროცესი განახლდა თუ არა. მოსახლეობა ვარაუდობს, რომ სკოლაცა და საბავშვო ბაღიც დანგრეულია.

კოშკები

კოშკებში ფუნქციონირებდა მხოლოდ დაწყებითი სკოლა. მაგრამ ჯერ იქ სწავლა არ განახლებულა, ახალგაზრდობა და ბავშვები სოფელში არ ბრუნდებიან. განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი 100 ლარი მოსწავლეებისათვის დაიწყო მეერთში და კოშკებში იმედი აქვთ რომ დახმარება მათაც შეხვდებათ. არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღიც.

ტირძნისი

ტირძნისის სკოლის ნახევარი დამწვარია, ამიტომ სასწავლო პროცესი განახლდა მხოლოდ შენობის ნახევარში. ნახევარი შენობა რემონტდება. საბავშვო ბაღი სოფელში არ ფუნქციონირებს.

**დ დ ე ი ს ა თ ვ ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ
გ ა მ ო კ ვ ე თ ი ლ ი პ რ ო ბ ლ ე მ ე ბ ი :**

ჩატარებული გამოკითხვისა და აღწერის შედეგად სოფლებში მოსახლეობის პრობლემათა ძირითად ნუსხაში გამოიკვეთა:

კარალეთი

1. განადგურებული მოსავლის და სანაცვლო კომპენსაციის გაუცემლობის პრობლემა.
2. მოსალოდნელი ზამთრის გადასატანად დადგა შეშის აუცილებლობის საკითხი, არის კატეგორია (ვისაც სრულიად აქვს განადგურებული სახლი). მათ აწვდიან შეშას 2-3 კუბ. მეტრის ოდენობით, რაც აბსოლუტურად არ არის საკმარისი დაზარალებული მოსახლეობისათვის. დანარჩენ მოსახლეობას ესეც არ მიეწოდება. მოსახლეობას არა აქვს შეშის შეძენის სშუალება უსახსრობის გამო.
3. შუქის გადასახადის მოხსნა იანგრამდე მაინც.
4. თბილი ჩასაცმელი და ლოგინი.

ტყვიავი

1. ომის მოსალოდნელი განხლებისა და მათი დაუცველობის პრობლემა;
2. წყლის პრობლემა (სოფელს წყლის მოწოდება შეუწყდა სოფელ ვანაიდან, სადაც დღეს დღეისობით არ ხორციელდება საქართველოს იურისდიქცია);
3. შეშის და გათბობის პრობლემა მოსალოდნელი ზამთრის პირობებში;
4. თბილი ტანსაცმელი;
5. დანგრეული და დამწვარი სახლების აღდგენის პროცესის დაგვიანება და გაჭიანურება;
6. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია უნდა განთავსდეს ტყვიავში ან ქვეშში. გამოკითხულთაგან ყველა კატეგორიულად წინააღმდეგია ამის, რადგან ეს მიაჩნიათ რისკფაქტორად მათი უსაფრთხოების მიმართულებით.

გუგუტიანთკარი

1. უსაფრთხოების საკითხი: სასაზღვრო ზონაა და ახლოსაა ოსებითა და რუსებით კონტროლირებადი სოფლები;
2. მოსახლეობა ვერ გადადის ბაღებში დარჩენილი მოსავლის - ვაშლის ასაღებად უსაფრთხოების გამო, აგრეთვე იმ ნაღმების გამო, რომლებიც კოშკების მხარესაა ბაღებში. კოშკებიდან საერთოდ ვერ გადადიან იმიტომ რომ ქერქს ესაზღვრება და დანაღმულია.
3. შეშის პრობლემა – დარჩნილი გადაუწვავი ტყვები სასაზღვრო ზოლშია მოქცეული;
4. საკვების პრობლემა: ფქვილისა და ცხიმის დეფიციტი;
5. ელექტროენერგიის გადასახადის პრობლემა;
6. პირველადი მოთხოვნილების ნივთების საჭიროება;

7. მძაფრია საჭიროება, რომ მათივე ახალგაზრდები დასაქმდნენ დაწყებულ მშენებლობაზე.

მერეთი

1. სოფელში წყლის გადაკეტვის საშიშროება;
2. ელექტრო ენერგიის გადასახადის პრობლემა;
3. ბავშვებისათვის წიგნების პრობლემა;
4. შეშით მომარაგების საკითხი;
5. მედიკამენტებით უზრუნველყოფის პრობლემა.

კარბი

1. უსაფრთხოების პრობლემა;
2. მოახლოებული ზამთრის პირობებში შეშით მომარაგების პრობლემა;
3. შუქის გადასახადის პრობლემა.

მედვრეკისი

1. სახლების აღსადგენად გაცემული კომპენსაციის არასაკმარისი რაოდენობა;
2. მოსახლეობა გაუსაძლისი პირობების გამო იწყებს სოფლის დატოვებას;
3. ომის განახლების შიში, უსაფრთხოების პრობლემა;
4. ლოგინი, თბილი ჩასაცმელი და პირველადი მოხმარების ნივთები დანგრეული და გაძარცვული სახლების მაცხოვრებელთათვის;
5. შეშით მომარაგება;
6. ელექტრო ენერგიის გადასახადისათვის ფინანსური სახსრების არქონა;
7. ვინ დაიცავს მათ დარღვეულ უფლებებს.

ერგნეთი

უმნიშვნელოვანესი პრობლემები:

1. ომის განახლების შიში, უსაფრთხოების პრობლემა, მშვიდობის მოთხოვნა;
2. უშუქობა, სატელეფონო კავშირის არქონა;
3. დანგრეული, განადგურებული სახლების აღდგენის პრობლემა;

სხვა პრობლემები:

4. მოსალოდნელი ზამთრის გადატანის პრობლემა;
5. სახლის გადახურვის პრობლემა, სამშენებლო მასალების არარსებობა, მუშახელის არარსებობა (სოფელსი ძირითადად მოხუცებული ხალხია);
6. თბილი ტანსაცმელი, ლოგინი;
7. შეშის პრობლემა;
8. წყლით მომარაგების პრობლემა;
9. პირველადი მოხმარების ნივთების არარსებობა.

ქსუისი

1. მძიმე გამოუვალი სიტუაციის გამო დამამშვიდებელი წამლები.

დისევი

1. საკუთარ სოფელში შესვლის პრობლემა;
2. დაკარგული ქონების დაბრუნების პრობლემა.

კოშკები

1. უსაფრთხოება – მოსახლეობა ვერ გადადის ბადებში დარჩენილი მოსავლის ვაშლის ასაღებად, გასანაღმია ბაღები;
2. შეშის პრობლემა – ტყეები სასაზღვრო ზოლში;
3. ფქვილი, ცხიმი;
4. ელექტროენერგიის გადასახადის პრობლემა;
5. პირველადი მოთხოვნილების ნივთები და თბილი ჩასაცმელი;
6. სასოფლო-სამურნეო ტექნიკა.


ტირმნისი

1. უსაფრთხოება;
2. შეშა.;
3. თბილი ტანსაცმელი;
4. ელექტრო ენერგიის გადასახადი.

დასკვნა

დაბრუნებული დევნილების მდგომარეობის შესწავლის შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი კვლავაც უცვლელია ბოლო თვეების განმავლობაში და გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა უმთავრეს პრობლემად ისევ უსაფრთხოებას, საკვებისა და ტანსაცმლის უკმარისობას, უსასხესრობას მიიჩნევს.

საერთო შეფასებით აღწერილ სოფლებში (კარალეთი, ტყვიავი, კარბი, მერეთი, გუგუტიანთკარი, მელვრეკისი, ერგნეთი, ქსუისი, დისევი, კოშკები, ტირმნისი) ყველაზე პრიორიტეტულად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები, რომელთა გადაჭრა სასიცოცხლო მნიშვნელობებისაა დაბრუნებული მოსახლეობისათვის.



Short Summary:

Assessment of needs of 'Returned IDPs and situation up-date in the villages adjacent to South Ossetia Conflict Zone'


the findings of CWN research about the condition and needs of the conflict affected women and men who have started to gradually return to their homes in the villages adjacent to South Ossetia Conflict Zone.

The main findings of the assessment are that the situation of the returnees is extremely difficult – they lack:

- Access to adequate housing as many leave in the ruins of what once was their house;
- The security situation is still tensed, and people suffer from fear, sense of insecurity in addition to enliven trauma and stress of August days;
- People have extremely limited access to water as in many cases their water supply depends on the good-will of Ossetians controlling the water sources;
- There is limited to no access to health facilities (apart from rehabilitated medical center in Tkviavi) in many villages;
- Children lack school-supplies, clothes and footwear (clothes are also badly needed by adults);
- Population is provided with some food but they still name food as one of the major needs;
- Some families have received USD 15 000 equivalent in GEL as a compensation for the destroyed property, but many have refused to take this money as they think it will not be enough even to rebuilt the walls of their houses or put roofs;
- Families are also provided with GEL 10 000 if a family member or members have died as a result of military actions. However, if a person died out of a heart attack or high-blood pressure caused by stress or fear of war his/her family will not receive this GEL 10 000. The research found concrete cases of two women who died as a result of received stress for the loss of neighbors / relatives but their families were not able to argue that they have died as a result of military actions;
- People complain also about their obligations towards banks as many of them had loans that they have to pay, despite the fact that their majority lost everything they had, including harvest;
- Georgian police is present and patrolling in the majority of villages , which has been underlined as a positive development, although there still are some villages where citizens entered but police cannot follow due to presence of Russian/Ossetian forces;

- Representatives of local administration have also returned but they are not as active as citizens' would have liked them to be.

According to all respondents of all 11 villages (Karaleti, Tkviavi, Karbi, Mereti, Gugutiantkari, Megvrekisi, Ergneti, Qsuisi, Disevi, Koshkebi, Tirdznisi) there are problems of high priority to be immediately solved for retrnees.



აღწერა მოამზადეს:

ნინო ციხისთავი,
არინა თავაქარაშვილი,
ნატო ბაჩიაშვილი

ს ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა :
გ ა გ ა ს ი ი ს ქ ა ლ თ ა ქ ს ა ლ ი

მ ი ს ა მ ა რ თ ი : ლ . ა ს ა თ ი ა ნ ი ს № 1 0

თ ბ ი ლ ი ს ი 0 1 0 5 , ს ა ქ ა რ თ 3 3 ლ ი

ტ ე ლ . ფ ა ქ ს ი : (9 9 5 3 2) 9 8 8 6 9 5


ე ლ . ფ ა მ ს ტ : cwn@access.sanet.ge
cwn@cwn.ge

ვ ი ბ ი რ ი ლ ი : www.cwn.ge

კავკასიის ქალთა შემდი

2008 წოების 25 იანვრი

2008 წლის 25 იანვრი 04-იან ნოემბერი,
ბორის რ-ზე ე.წ. დაბრუებული დეპარტამენტის საჭიროებების აღმართა შემდეგ სოფლებში



- გორი ●
- ცხინვალი ●
- სოფლები:
კარალეთი ●
- ტყვიავი ●
- ტირმისი ●
- მეღვრეპისი ●
- ერგეთი ●
- კარგი ●
- მერეთი ●
- სუსი ●
- კოშკა ●
- გუგუჩიაანი
კარი ●